აჭარა

გამოცემის 105-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№12 (25.190) 4 აპრილი, 2025 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, მთიან რაიონებში - 12-17, მაღალ მთაში - 7-12 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა.

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვეს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მომსახურების სააგენტოს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართველთა და აფხაზთა ერთობის საზოგადოების - „ერთობა ხვალისთვის“ ერთობლივი ორგანიზებით, აჭარაში მცხოვრებ აფხაზებთან შეხვედრა გაიმართა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრმა დავით ფაცაციამ შეხვედრაზე ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისთვის აჭარაში მცხოვრები მოქალაქეები დააჯილდოვა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი აფხაზური ცენტრის ახალგაზრდებმა ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ პრეზენტაცია გამართეს, მოეწყო თემატური გამოფენა.

შეხვედრაში ასევე, მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

შეხვედრაზე დავით ფაცაციამ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისთვის, ასევე, დააჯილდოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ელისო ბოლქვაძე, აჭარის განათლებისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მაკა ბერიძე და უნივერსიტეტის პროორექტორი მერაბ ბერიძე, აჭარაში მცხოვრები აფხაზები.

- სწორედ ეს ადამიანები წარმოადგენენ ურთიერთგაგების, აფხაზური ტრადიციების, ფასეულობების, კულტურის, ენის შენარჩუნების და დაცვის სიმბოლოს, რაც ძალიან სწორი მაგალითია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ჩვენი მოქალაქეებისთვის, რომ მხოლოდ მსგავსი ურთიერთგაგებით, სიყვარულითა და ტრადიციების შენარჩუნებითაა შესაძლებელი, გავძლიერდეთ და გადავარჩინოთ ჩვენი საერთო მომავალი, - განაცხადა დავით ფაცაციამ.

ღონისძიების მიზანი იმ ადამიანების მიმართ მადლიერების გამოხატვაა, რომლებმაც თავისი საქმიანობით განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აქტუალიზაციის საქმეში.

აქ ხაზგასმით ითქვა სახალხო დიპლომატიის გზით ხიდჩატეხილობის აღდგენის მნიშვნელობაზე, საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ ტრადიციებსა და ურთიერთობებზე, ნათესაურ კავშირებზე, რომლებსაც ტრადიციულად უფრთხილდებიან ქართული და აფხაზური ოჯახები.

ამ თბილი და საინტერესო შეხვედრის შესახებ ვრცელ მასალას შემდეგ ნომერში მოგაწვდით.

მიხეილ გაბაიძის ფილმმა სან-დიეგოს მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე სამი პრიზი მიიღო

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

„ვაზომოტორული რინიტი“ - ასე ჰქვია მიხეილ გაბაიძის მოკლემეტრაჟიან ფილმს, რომელმაც სან-დიეგოს მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე სამი პრიზი მიიღო.

ჟიურის გადაწყვეტილებით, ბათუმელი რეჟისორის სადიპლომო ნამუშევარი დასახელდა საუკეთესო უცხოენოვან ფილმად და ზაფხულის სეზონის გამარჯვებულად. ასევე, ჟიურის პრიზი გადაეცა მთავარი როლის შემსრულებელ მსახიობ დავით ჯაყელს. დაჯილდოების ცერემონიალი სან-დიეგოში გაიმართა, პარალელურად ჩატარდა პლენერიც. მიხეილ გაბაიძემ ფილმი „ვაზომოტორული რინიტი“ გასულ წელს გადაიღო და ამჟამად 27 საერთაშორისო პრიზის მფლობელია.

- სან-დიეგოს მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი სეზონებად იმართებოდა. ჟიური ფილმებს სხვადასხვა ნომინაციაში არჩევდა. მოგეხსენებათ, ჩვენი ფილმი უკვე ზაფხულის სეზონის გამარჯვებული იყო - უცხოური ფილმის კატეგორიაში. ახლა სან-დიეგოში ამ ფესტივალის დასკვნითი ეტაპი გაიმართა და უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში შემაჯამებელი ეტაპის მეორე ჯილდოც მივიღეთ. ამას დაემატა „ჟიურის სპეციალური აღნიშვნა“ (ასე ფორმულირდება ეს კატეგორია) - სამსახიობო ოსტატობისთვის, რომელიც მსახიობ დავით ჯაყელს გადასცეს. რაც შეეხება ფილმს, იგი ჩემი სადიპლომო ნამუშევარია, მოგეხსენებათ, კინოსარეჟისოროზე ვსწავლობდი. მას 27 საერთაშორისო პრიზი აქვს აღებული სხვადასხვა ნომინაციაში: რეჟისურა, მოკლემეტრაჟიანი ფილმი, დრამა... ფაქტობრივად, ეს ფილმი ნაჩვენებია ხუთივე კონტინენტზე, აქედან უმეტესად ამერიკის შეერთებულ შტატებში, იყო ბრიტანეთშიც, იტალიაში და ა.შ. სელექციაში 70-მდე ფესტივალზე იყო შერჩეული. სან-დიეგოს ფესტივალზე გაიმართა პლენერიც, მოგვიწყვეს შეხვედრა, რომელიც ძალიან კარგად იყო ორგანიზებული.

ყველა აქტიურად, მეტწილად, ჩვენ გვისვამდა კითხვას, როგორც მთავარი სპიკერი - ფესტივალის დირექტორი, ასევე, დამსწრე საზოგადოება: პროდიუსერები (სხვადასხვა კინოკომპანიიდან), ფილმის ავტორები და რეჟისორები. ფილმი ძალიან ღრმად გააანალიზეს, რაც ჩვენთვის მოულოდნელი, თუმცა სასიამოვნო აღმოჩნდა. მოკლედ, ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო, - გვითხრა მიხეილ გაბაიძემ.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

მმართველი გუნდის წინასაარჩევნო დაპირება და ოპოზიციის პასუხი

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

2024 წლის წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი გუნდის ერთ-ერთ მთავარ დაპირებას პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვა წარმოადგენდა. ამაზე საუბრობდა „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი წინასაარჩევნო შეხვედრებსა თუ გადაცემებში



გავიხსენოთ მისი ერთ-ერთი კომენტარი ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში.

„უნდა აიკრძალოს ის, ვინც ხალხის და ქვეყნის მტერია. ამის მაგალითი უამრავია მსოფლიოში. ჩვენ გვჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა, რათა „ნაციონალური მოძრაობა“ ავკრძალოთ და მოვიშოროთ ეს ჭირი“, - აცხადებდა ბიძინა ივანიშვილი.

თავდაპირველად, „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია“ შეიქმნა, რომლის ხელმძღვანელიც თეა წულუკიანია. ის კოლეგებთან ერთად დღესაც აქტიურად აგრძელებს მუშაობას, როგორც ამბობს, იმის გარკვევას, თუ რა დანაშაული აქვს ჩადენილი „ნაციონალურ მოძრაობას“ ამ წლების განმავლობაში. მიმდინარე წლის 31 მარტის პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დაინიცირდა „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვის შესახებ კანონპროექტი. ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ბიუროს სხდომაზე ისაუბრა.

„მოგეხსენებათ, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ ანტიკონსტიტუციურად გამოცხადება ჩვენი წინასაარჩევნო დაპირებაც იყო. უკვე აშკარაა, რომ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა მოგვცემს მყარ საფუძველს, მივმართოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი სატელიტი პარტიების არაკონსტიტუციურად გამოცხადებასთან დაკავშირებით“, - აღნიშნა მდინარაძემ.

„ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებით, პარლამენტში დარეგისტრირდა პროექტი, რომელიც გულისხმობს იმ პარტიების საქმიანობის აკრძალვას, რომლებსაც „ნაციონალური მოძრაობის“ იდენტური წესდება, მიზნები და შემადგენლობა აქვთ. საკონსტიტუციო სასამართლოს იმ პარტიის აკრძალვა შეეძლება, რომლის გაცხადებული მიზანი, საქმიანობის არსი და პერსონალური შემადგენლობა სასამართლოს მიერ უკვე აკრძალული პარტიის გაცხადებული მიზნის, საქმიანობის არსისა და პერსონალური შემადგენლობის იდენტური იქნება.

„წარმოდგენილი კანონპროექტის მიღებით საკონსტიტუციო სასამართლოს ექნება შესაძლებლობა, განახორციელოს ეფექტიანი საკონსტიტუციო კონტროლი პოლიტიკურ პარტიებზე, რომელთა მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. შესაბამისად, იმ პირებს, რომლებსაც აქვთ სურვილი, ახალი პარტიები დაფუძნონ და კვლავ განაგრძონ არაკონსტიტუციური საქმიანობა, სასამართლო წესით აეკრძალებათ ასეთი ფიქციური პარტიების მეშვეობით მოქმედება“, - წერია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

ეს კანონპროექტი ერთგვარი წინაპირობაა საკონსტიტუციო სარჩელის მომზადებისა, რომელსაც „ქართული ოცნება“ მოამზადებს მას შემდეგ, რაც საგამოძიებო კომისია საბოლოო დასკვნას გამოიტანს.

მმართველ გუნდში ამბობენ, რომ ეს მათი წინასაარჩევნო დაპირების შესრულებაა. ამასთან, ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ პარტიას, რომელიც ხელისუფლებაში დაბრუნებას დესტაბილიზაციისა და რევოლუციის გეგმით ცდილობს, პოლიტიკური გაერთიანების სტატუსი არ უნდა ჰქონდეს.

პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე ლევან მაჭავარიანის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მოიპოვა, ამ მიზანს ისინი მაინც მიაღწევენ.

„ეს იყო ერთ-ერთი მთავარი საარჩევნო დაპირება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მოვიპოვეთ, მაინც ვასრულებთ ამ დაპირებას იმიტომ, რომ ქართველი ხალხი უკვე 12 წელია ამას ელოდება. რა თქმა უნდა, იქმნება შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი იმისთვის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ აიკრძალოს როგორც პარტია. როგორც კი მორჩება საგამოძიებო კომისია მუშაობას, რა თქმა უნდა, მტკიცებულებებსა და ფაქტებზე დაყრდნობილ რეკომენდაციებს გადავცემთ პროკურატურასა და შესაბამის უწყებებს. ამასთანავე, რა თქმა უნდა, სარჩელს შევიტანთ საკონსტიტუციო სასამართლოში, სადაც, ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს“, - განაცხადა ლევან მაჭავარიანმა.

აღნიშნულ საკითხს ეხმაურებიან თავად „ერთიანობა - ნაციონალურ მოძრაობაში“.

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე თინა ბოკუჩავას განცხადებით, თეა წულუკიანის ხელმოწერით, რეალურად არც არაფერი დაიწყება და არც დამთავრდება.

„წულუკიანს რა გონია - ხელს მოაწერს „ნაციონალური მოძრაობის“ სიკვდილით დასჯას და ამით დაასამარებს „ნაციონალური მოძრაობის“ იდეებს, მემკვიდრეობას?! მისი ხელმოწერით არაფერი არც იწყება და არც მთავრდება. ეს პარტია იყო, არის და იქნება“, - განაცხადა თინა ბოკუჩავამ. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან სანიკიძე კი აღნიშნავს, რომ ოპოზიციური პარტიების აკრძალვით „ქართულ ოცნებას“ სურს ჩაახშოს ოპოზიციური ხმა.

„რაც შეეხება „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვას, ხაზგასმულია, რომ სხვა პარტიებიც შეიძლება აიკრძალოს. ეს ემსახურება ერთადერთ მიზანს, რომ ამ ქვეყანაში ჩაახშონ ოპოზიციური ხმა, მაგრამ ისიც კარგად უნდა ესმოდეთ, რომ პარტია არ არის მხოლოდ სახელწოდება და ნომერი, პარტია არის იდეა და თუკი პარტია არის პროდასავლური, ერთიანი, ძლიერი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს იდეა, ამას ვერ აკრძალავენ და ფორმალურად საჯარო რეესტრი ვის გაუუქმებს რეგისტრაციას, ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს“, - განაცხადა ლევან სანიკიძემ.

რაც შეეხება სხვა ოპოზიციურ პარტიებს, „გახარია საქართველოსთვის“ პოლიტიკური საბჭოს წევრ ბექა ლილუაშვილის განცხადებით, წინა ხელისუფლების გარდა დღეს „ქართული ოცნებაც“ აშავებს, ამიტომ, სამართლიანი სასამართლოს პირობებში, ორივე პარტიის საქმიანობა გამოსაძიებელი იქნება.

მმართველი პარტიის გადაწყვეტილებას აფასებენ აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსები. როგორც აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი

„ქართული ოცნებიდან“ **ᲪᲝᲢᲜᲔ ᲐᲜᲐᲜᲘᲫᲔ** ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, „ნაციონალური მოძრაობის“ ქმედებები იძლევა ობიექტურ საფუძველს, რომ აღნიშნული კანონი განხორციელდეს.

- შესაძლებელია, ჩემი პოზიცია სუბიექტურად აღიქვათ, რადგან მიხეილ საკაშვილის და „ნაციონალური მოძრაობის“ ოპოზიციაში ვიყავი და ბევრ სხვა ადამიანთან ერთად პოლიტიკური პატიმრობის გავლა მომიწია, რაზეც უამრავი ადგილობრივი და საერთაშორისო დასკვნებია. ობიექტური რეალობა იყო ის, რაც ყველას ძალიან კარგად ახსოვს: ბიზნესის ტერორი, ადამიანების დაკავება პოლიტიკური შეხედულებების გამო და ა.შ. ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა იმ ადამიანს, ვისთანაც ჰქონდათ პოლიტიკური პრობლემა, ვერ აკავებდნენ და მისი ოჯახის წევრები დაუკავებიათ. სამწუხაროდ, ძალიან ბევრ ადამიანს და ოჯახს უდიდესი და გამოუსწორებელი ზიანი მიადგა იმ არაადამიანური დიქტატურით, რაც 2003-2012 წლებში იყო. განსაკუთრებული სისასტიკე ხდებოდა პენიტენციურ დაწესებულებებში, რაც ადამიანის უფლებებს ლახავდა. ჩვენ 2013 წლიდან ვსაუბრობთ, რომ არ შეიძლება ასეთი პარტიები იყვნენ პოლიტიკური ამბიციების მქონენი. ტერორი, უდანაშაულო ადამიანების დაკავება, დასახიჩრება, პოლიტიკური დევნა, რა თქმა უნდა, იძლევა ობიექტურ საფუძველს იმგვარი გადაწყვეტილებების თაობაზე, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო, - გვითხრა ცოტნე ანანიძემ. ჩვენთან საუბარში სიტუაციას აფასებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი

ლიდერი **ᲠᲔᲖᲝ ᲮᲐᲠᲐᲖᲘ**.

- დღეს გვყავს ყოველგვარი ლეგიტიმაციის გარეშე დარჩენილი ხელისუფლება, რომელსაც ყოველნაირი ბერკეტი აქვს გამოცლილი.

მას არ ესაუბრება არავინ ცივილიზებულ სამყაროში. როცა მთელი მსოფლიო რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ იბრძვის, ამ ადამიანებმა შექმნეს რაღაც გაუგებარი კომისია, რომელიც იძიებს ქართველი სამხედროების, მათ შორის იმ გმირებისა და საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, პუტინის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანის, ამბებს, რაც რეალურად გამოძიებულია ჰააგაში. ცივილიზებული სამყაროს ქვეყნებმა დაადგინეს, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ომი იყო პროვოცირებული და დაწყებული რუსეთის მხრიდან და ამ ფონზე, საერთოდ, რა მოსატანია „ნაციონალური მოძრაობის“ გაუქმება.

ყველს მინდა ვუთხრა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის იდეა. ეს იყო პარტია, რომელმაც პირველი ნაბიჯები გადადგა საქართველოს მართლაც სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში მისი შეცდომების მიუხედავად. ის ქვეყნისთვის მოპოვებული ყველაზე დიდი წარმატებით შევა ისტორიაში. ვისაც უნდა უნდოდეს ამის წაშლა, მაინც არ გამოუვა. ჩვენ ვართ ადამიანები, რომლებიც ამ ერთიანობას დავიცავთ. მინდა ვუთხრა ბიძინა ივანიშვილს, ჩვენ ბრძოლას სხვადასხვა ფორმით გავაგრძელებთ, იმისთვის, რომ ეს ქვეყანა გავიდეს ევროპულ გზაზე და მიიღოს ის, რისი ღირსიც არის. მინდა საზოგადოება და ჩვენი მხარდამჭერები დავამშვიდო და ვუთხრა, რომ ჩვენ ერთად შევძლებთ ამ მძიმე პერიოდის გადალახვას, რადგან ამაზე ბევრად რთული პერიოდებიც გამოგვივლია, - აღნიშნა რეზო ხარაზმა.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

თამარ მეფის გამზირზე ახალი რეკრეაციული სივრცის მოწყობა დასასრულს უახლოვდება. პროექტისთვის 1,5 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული, სკვერი 300-ზე მეტ აქ მცხოვრებ ოჯახს მოემსახურება. მიმდინარე სამუშაოები ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა უმაღლესი საბჭოს წევრ რამაზ ჯინჭარაძესთან და საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი თავდგირიძესთან ერთად დაათვალიერა. - პროექტის ფარგლებში სკვერში ავაშენეთ სტადიონი, აქვე განთავსდა საბავშვო, სპორტული და დასასვენებელი ზონები, ასევე, მოვაწყვეთ საპარკინგე სივრცე. უახლოეს პერიოდში განხორციელდება ველობილიკის სამღებრო სამუშაოები. ამ დასახლებაში მსგავსი ტიპის ინფრასტრუქტურა აქამდე არ არსებობდა, დღეიდან ჩვენს მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა, ისარგებლონ თანამედროვე სტანდარტის კეთილმოწყობილი სივრცით, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

* * *

ბათუმის საჯარო სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გეგმური შემოწმება დაიწყო. მონიტორინგს სანიტარიული ზედამხედველობის განყოფილება, მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ თანამშრომლებთან ერთად ახორციელებს. მათი განცხადებით, საკლასო ოთახებსა და კვების ბლოკში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა მოწმდება. უწყების ინფორმაციით, კვების ბლოკში სისუფთავის ხარისხზე ანალიზის ნიმუშების აღება განხორციელდა, საკლასო ოთახებში კი სპეციალური აპარატით განათების კოეფიციენტი დადგინდა. ლაბორატორიული კვლევის მეთოდების გამოყენებით, სანიტარიულ-ტექნიკურ მდგომარეობაზე მონიტორინგი საჯარო სკოლებში გეგმურად, წელიწადში ორჯერ ხორციელდება.

* * *

ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი მოსახლეობასთან შეხვედრებს აგრძელებს. მერიაში გამართულ დღევანდელ შეხვედრაზე სოციალური, ჯანდაცვის, დასაქმების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერისა და ავარიული სახლების პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელეს. შეხვედრას მუნიციპალური სამსახურების ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ. დაისახა მოსახლეობისთვის აქტუალური პრობლემების გადაჭრის გზები. არჩილ ჩიქოვანი მოსახლეობასთან შეხვედრებს რეგულარულად მართავს. მერიის პერესსამსახურის ინფორმაციით, მსურველებმა შეხვედრის ჩასანიშნად უნდა დარეკონ მერიის ადმინისტრაციაში - 0422 27 01 19.

* * *

ბათუმში მცხოვრები ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის, მორიგი უფასო სამედიცინო აქცია გაიმართა. აქციის მიმდინარეობას აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზურაბ თენიეშვილი, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი კობა კობალაძე და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლები გაეცნენ. ოფთალმოლოგიური გამოკვლევა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ორგანიზებით, ლაიონსების თვალის დიაბეტურმა კლინიკამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა დეპარტამენტთან ერთად ჩაატარა. აქციით 152-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ვეტერანებსა და მათი ოჯახის წევრებს უსასყიდლოდ გადაეცათ 304 ოპტიკური სათვალე და 22 გლუკომეტრი.

* * *

ბათუმის ავტოტრანსპორტის ინფორმაციით, ზურაბ გორგილაძის ქუჩაზე გრძელდება გზის მონიშვნის სამუშაოები ცივი პლასტისა და სპრეი პლასტის გამოყენებით. მათივე ინფორმაციით, რუსთაველისა და ასათიანის ქუჩების კვეთაში მიმდინარეობს საინფორმაციო ელექტროტაბლოების ქსელზე მიერთება. ქალაქის მასშტაბით მიმდინარეობს დაზიანებული სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების განახლება.

ახალი მსოფლიო წესრიგის მოზაიკა – ანალიტიკოსის თვალით

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

როგორი იქნება ახალი მსოფლიო წესრიგი? პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე ვინ რა სვლას გააკეთებს? რა პროცესები ვითარდება საერთაშორისო არენაზე და განვითარების რა გზები ისახება საქართველოსთვის? - ეს კითხვები პროფესიონალ ანალიტიკოსთა პასუხებს მოითხოვს. ამჯერად ამ თემაზე სასაუბროდ პოლიტოლოგი ***გელა ირემაძე*** *მოვიწვიეთ.*

- როგორ აფასებთ აშშ-ის პრეზიდენტის ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებს საგარეო პოლიტიკაში?

- დონალდ ტრამპის პოლიტიკა საერთაშორისო არენაზე ძალიან ხისტი ქმედებებით გამოირჩევა. ის ცდილობს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ძირეული რეფორმების განხორციელებას და ეს ჩანს როგორც ჩინეთთან, ისე ევროპაში მიმდინარე იმ პროცესებთან მიმართებაში, რომლებიც არ შედის აშშ-ის ინტერესებში. კერძოდ, ეს ეხება ეკონომიკურ საკითხებს და საგადასახადო ვალდებულებებს. როგორც ცნობილია, აშშ-მა გაზარდა გადასახადი ევროკავშირთან მიმართებით, ანალოგიურად მოიქცა ევროკავშირი აშშ-სთან დაკავშირებით, ანუ საგადასახადო და სატარიფო ომი მიმდინარეობს აშშ-ევროკავშირს შორის.

- სხვათა შორის, ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ გარდაუვლად დაიძაბება ურთიერთობა აშშ-სა და ევროკავშირს შორის ნატოს დაფინანსების საკითხზე.

- დიახ, უახლოეს მომავალში, სავარაუდოდ, ღია კონფრონტაციაა მოსალოდნელი ნატოსთან მიმართებით, გამომდინარე იქიდან, რომ მას უმეტესწილად აშშ აფინანსებს, რაც ტრამპის ადმინისტრაციისთვის მიუღებელია. ამიტომ აშშ-ის პრეზიდენტმა მკაფიო განცხადება გააკეთა და ალიანსის წევრებს ამ მხრივ დაფინანსების გაზრდისკენ მოუწოდა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი უსაფრთხოება. ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს მსგავსი განცხადებები ევროპელი ლიდერებისგან, ვგულისხმობ ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს და საფრანგეთის პრეზიდენტს. ვფიქრობ, აშშ-ის პრეზიდენტთან მიმართებით მათ სიფრთხილე მართებთ, რადგან ტრამპის განცხადებების, ქმედებების გაანალიზება ძალიან რთულია. აღსანიშნავია ისიც, რომ ტრამპი შეეცდება გადატვირთვის პოლიტიკის წარმართვას ჩინეთთან და იმ სახელმწიფოებთან, რომელთაც აშშ-ის წინა ადმინისტრაცია პარტნიორად არ მიიჩნევდა. სამწუხაროდ, ამ კონტექსტშივე უნდა განვიხილოთ რუსეთ-აშშ-ის მოლაპარაკებები რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით.

- რა მიზანს ისახავს რუსეთი ამ ომში?

- უკვე მეოთხე წელია, ომი მიმდინარეობს. უკრაინამ შეძლო სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება, რაც უკრაინელთა თავდადებისა და დასავლეთის მხარდაჭერის შედეგია, თუმცა უკრაინის გასამარჯვებლად კოლექტიურმა დასავლეთმა ქმედითი ნაბიჯები ვერ/არ გადადგა, რასაც თავისი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები აქვს... კრემლს თუ მიეცა საშუალება, უკრაინას დაანაწევრებს, სატელიტ ქვეყნად გადააქცევს, ამიტომ თუ ახლა არ შეაჩერებენ რუსეთს, საფრთხე უკვე ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც დაემუქრება. ამას დასავლეთში კარგად აცნობიერებენ. როგორც ცნობილია, ტრამპის დაპირება იყო ამ ომის შეჩერება, ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ვნახეთ უმაღლესი დონის შეხვედრები საუდის არაბეთში და უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტი - აშშ-ში, ოვალურ კაბინეტში... ვფიქრობ, ზელენსკის მოუწევს იმ რეკომენდაციების შესრულება, რომლებიც, ზოგადად, ტრამპის გეგმებშია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ამით უკრაინის სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა არ შეილახება. სავარაუდოდ, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, უკრაინას მოუწევს გარკვეული კომპრომისული შეთანხმება რუსეთსა და, ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებთან. კერძოდ, ეს ეხება ისეთ საკითხს, როგორიცაა წიაღისეული რესურსი, რომელიც უკრაინას აქვს. საუბარია რამდენიმე ასეულ მილიარდ დოლარზე, რომელიც უნდა გადაეცეს აშშ-ს. სენტენციად ქცეული ეს ფრაზაც გვახსენებს თავს: „ომი დამთავრდა - მშვიდობის გეშინოდეთ“. გაჩნია, ეს მშვიდობა ვის სასიკეთოდ იმოქმედებს. უკვე ორივე მხარე გამოთქვამს ომის დასრულებისთვის მზაობას. ჯერჯერობით ამ მხრივ დეტალები არ გაჟღერებულა. სავარაუდოდ, ამ რამდენიმე დღეში სამშვიდობო შეთანხმება გაფორმდება მხარეებს შორის, ასევე, უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება და ლეგიტიმაციის საკითხიც აღარ იქნება კითხვის ნიშნის ქვეშ.

- თქვენ „გადატვირთვის პოლიტიკა“ ახსენეთ. როგორც ცნობილია, ამ პოლიტიკამ ადრე დიდად არ გაამართლა, ყოველ შემთხვევაში, სწორედ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში მიაღწია კრემლმა საგარეო პოლიტიკაში წარმატებას...

- თავის დროზე ობამას ადმინისტრაციამ განახორციელა „გადატვირთვის პოლიტიკა“ რუსეთთან, სამწუხაროდ, ამან არ გაამართლა. რუსეთის ნდობა არ შეიძლება, მაგრამ ტრამპის ადმინისტრაციამ რუსეთთან დაკავშირებით იგივე გზა არჩია. ვნახოთ, რა და როგორ მოხდება... მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები, გარკვეულწილად, მოითხოვს იმ ქვეყნებთან თანამშრომლობას, რომელთაც ბირთვული იარაღი აქვთ. ტრამპი წინა ადმინისტრაციისგან გამოირჩევა უფრო საქმიანი უნარებით. იგი, ალბათ, კლინტონის შემდეგ, უფრო ლოიალურია რუსეთთან მიმართებით. ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ უმაღლესი დონის შეხვედრას ტრამპსა და პუტინს შორის, სადაც იმსჯელებენ მსოფლიოს გადანაწილებაზე. უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა დღეს არ არსებობს. ეს სამწუხარო რეალობაა, ვინაიდან არსებულმა პროცესებმა საერთაშორისო ურთიერთობის სისტემის ნგრევა გამოიწვია. ფაქტობრივად, საერთაშორისო სამართალი, სახელმწიფოს სუვერენიტეტი, გაეროს როლი არის დაკნინებული და სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ამ პრობლემის სათავე იყო 2007 წლის მოვლენა, როცა დასავლეთმა კოსოვო აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ასევე, აღსანიშნავია სხვა ფატალური შეცდომები, რომლებიც მსოფლიო თანამეგობრობამ დაუშვა და დღეს ამ სამწუხარო რეალობას იმკიან მოწყვლადი სახელმწიფოები, მათ შორის, ჩვენი ქვეყანა - ტერიტორიული მთლიანობის რღვევიდან გამომდინარე.

- რას გულისხმობთ?

- გარკვეულწილად, დასავლეთის პასიურობამ და რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკამ გამოიწვია უკრაინის ომი. იმ პერიოდში რომ დაწესებულიყო რეალური სანქციები და რუსეთი სრულ იზოლაციაში მოექციათ, სავარაუდოდ, ის ვერ გაბედავდა უკრაინაზე თავდასხმას. უდავოა ისიც, რომ ბუქარესტის ნატოს სამიტზე საქართველოსა და უკრაინისთვის მაპი რომ მიენიჭებინათ, რუსეთი ვერ გაბედავდა აგრესიას საქართველოს მიმართ. სამწუხაროდ, მაშინ კოლექტიურმა დასავლეთმა რუსეთის ინტერესები გაითვალისწინა, რამაც ჩვენი ქვეყანა მნიშვნელოვნად დააზარალა.

- ახლა ჩვენს ქვეყანაზეც ვისაუბროთ: საგარეო კუთხით რა შეცდომები დავუშვით?

- შეცდომა მრავლად იყო. ქართველ პოლიტიკოსებს ცოტათი ცივი გონებით რომ გაეანალიზებინათ რეგიონში მიმდინარე პროცესები და სახელმწიფოებრივად ემოქმედათ, ქვეყანა ბევრ განსაცდელს აიცილებდა თავიდან. როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთმა ისარგებლა ჩვენი შეცდომებით და ჯერ სამოქალაქო ომში ჩაგვრთო, მერე კი ჩვენი ტერიტორიებიც მიითვისა. ამ აგრესიის მიზანი ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობაა, რაც რუსეთისგან არცაა გასაკვირი... ეს ქვეყანა ვერ ეგუება მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტს, რისი მაგალითებიცაა საქართველო და უკრაინა.

- ქართულმა მხარემ რა უნდა გააკეთოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის თვალსაზრისით?

- უნდა დაანახოს აფხაზებს და ოსებს, თუ რაოდენ დიდია ჩვენი მიღწევები, ღირებულებები, დემოკრატია და რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური და ეკონომიკური მოდელი, რომელსაც ვქმნით. ამ მხრივ, ცხადია, უმთავრესია ჩვენი დემოკრატიულობის ხარისხი, სწორედ ამ მიმართებით აქვთ ჩვენს მოკავშირეებს შენიშვნები... ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი ქვეყანა ევროპული ყაიდის სახელმწიფოა და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ევროპული სახელმწიფოები დამოუკიდებელნი იყვნენ, მათ სუვერენიტეტს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არავინ ზღუდავდა, თუ არ ჩავთვლით სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს. ახალს არაფერს ვიტყვი თუ აღვნიშნავ, რომ მიმდინარეობს ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება, ამ მხრივ, ჩვენ გონიერება გვმართებს, არ უნდა გავიჭყლიტოთ ზესახელმწიფოთა ინტერესების ჭიდილში, ჩვენი ინტერესები მაქსიმალურად უნდა დავიცვათ.

- ცხადია, საქართველოს მომავალი საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების თანხმობაზე გადის და არა - ურთიერთდაპირისპირებაზე.

- ჩვენს გეოსტრატეგიულ რეგიონში აუცილებელია სტაბილურობის შენარჩუნება, რადგან არაკეთილმოსურნეებმა, შესაძლოა, ჩვენი არეულობით ისარგებლონ, შეგახსენებთ არცთუ შორეული ისტორიის სამწუხარო ფაქტს - სწორედ სახელმწიფო გადატრიალების შედეგად წაგვგლიჯა რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ამიტომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია შიდა სტაბილურობა, გასაცნობიერებელ-გასათავისებელია ის, რომ ამგვარი საფრთხე ნამდვილად არ ემუქრება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს.

„ჩვენს გეოსტრატეგიულ რეგიონში აუცილებელია სტაბილურობის შენარჩუნება, რადგან არაკეთილმოსურნეებმა, შესაძლოა, ჩვენი არეულობით ისარგებლონ, შეგახსენებთ არცთუ შორეული ისტორიის სამწუხარო ფაქტს - სწორედ სახელმწიფო გადატრიალების შედეგად წაგვგლიჯა რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ამიტომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია შიდა სტაბილურობა, გასაცნობიერებელ-გასათავისებელია ის, რომ ამგვარი საფრთხე ნამდვილად არ ემუქრება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს

2 აპრილი აუტიზმის საერთაშორისო დღეა

მშობლებო, არ გამოკეტოთ ბავშვები სახლებში, ასე გაცილებით მეტ ზიანს მიაყენებთ თქვენს შვილებს

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

2007 წლის 18 დეკემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2 აპრილი აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღედ გამოაცხადა, რომლის მიზანიც მსოფლიოში აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლებაა. აუტიზმი ნეიროგანვითარებითი დაავადებების ჯგუფს მიეკუთვნება და სოციალური ურთიერთობების, კომუნიკაციისა და ქცევის სირთულეებით ხასიათდება

სპეციალისტების განმარტებით, აუტიზმია, როდესაც ბავშვი არ რეაგირებს მშობლის დაძახილზე, საკუთარ სახელზე, არ აჩვენებს, რა უნდა, იშვიათად უყურებს თვალებში, არ უზიარებს თავის სიხარულს თუ გაბრაზებას, აქვს ინტერესთა ძალიან შეზღუდული სფერო. როდესაც დროულად არ იწყებს ლაპარაკს ან თუ ლაპარაკობს, არ იყენებს მეტყველებას სხვებთან სოციალური ურთიერთობისთვის, ჩნდება ეჭვი აუტისტური სპექტრის აშლილობაზე. აუტიზმი ნეიროგანვითარების დარღვევაა, რაც თავის ტვინში გარკვეული ცვლილებების არსებობას ნიშნავს. მეცნიერებმა არ იციან, კონკრეტულად რა იწვევს ამ ცვლილებებს, შესაბამისად, უცნობია აუტიზმის სპექტრის აშლილობების გამომწვევი მიზეზი. აუტიზმის სპექტრის მქონე ინდივიდები ხშირად ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა მათ აერთიანებთ კომუნიკაციისა და სოციალიზაციის სირთულეები და სტერეოტიპული, განმეორებადი ქცევები.

მაია ერთ-ერთი მშობელია, რომლის შვილიც წლებია, ამ დაავადებითაა. როგორც მან გვითხრა, ჩვეულებრივ, აუტიზმის მქონე ბავშვები ფიზიკურად არ განსხვავდებიან უმრავლესობისგან. განსხვავება ვლინდება ქცევის, ურთიერთობის, ლაპარაკისა და სწავლის თავისებურებებში. ხშირად მშობელს უმძიმს რეალობასთან შეჯახება და მაქსიმალურად ცდილობს შვილის იზოლირებას სხვებისგან, რაც, მათივე თქმით, დიდი შეცდომაა.

- ჩემი შვილი ამ დაავადებით დაიბადა. გვიან შევნიშნეთ, რომ სხვა თანატოლებისგან განსხვავებული უნარ-ჩვევები ჰქონდა. ვაჩვენეთ სპეციალისტებს და დაგვიდგინდა აუტიზმი. თავდაპირველად, ყველასთვის შოკი იყო ეს ინფორმაცია, შემდეგ გავიარეთ კონსულტაცია სპეციალისტებთან და დავიწყეთ ახალი ცხოვრება. მშობლებო, არ გამოთიშოთ ბავშვები თანატოლებისგან, არ გამოკეტოთ სახლებში, ასე უფრო მეტ ზიანს მიაყენებთ თქვენს შვილებს! ატარეთ ისინი ბაღში, სკოლაში, მათი პრობლემის შესახებ უნდა იცოდნენ კლასელებმა, რომლებიც მიეჩვევიან დათმობას, მეგობრის თანადგომას. მჯერა, ასე უფრო დავიცავთ ჩვენს შვილებს აგრესიისგან, გავუიოლებთ ყოველდღიურობას და ცხოვრებასაც გავულამაზებთ, - გვითხრა მაიამ.

განათლების ხარისხის მაგისტრის, საგანმანათლებლო ცენტრ IBF-ის ინკლუზიური მიმართულების მენტორის, ტრენერისა და ბათუმის მე-4 და დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლების უფროსი სპეციალური მასწავლებლის **ლალი ჯაფარიძის** განმარტებით, მეტყველების, სწავლისა და აზროვნების უნარები აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ადამიანებში შეიძლება იცვლებოდეს თვალსაჩინო ნიჭიერებიდან გამოხატულ სიძნელეებამდე. ზოგიერთს შეიძლება სჭირდებოდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში დახმარება, ზოგს - არა, ამ მიმართულებით კი მშობლისა და მასწავლებლის პასუხისმგებლობა თანაბარია.

იხ. მე-9 გვ.

გამჭვირვალობა, მოსახლეობის კეთილდღეობა - უპირველესი საზრუნავი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მარტის სხდომაზე შინაარსიანი ანგარიშით წარსდგა შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ***ომარ ტაკიძე.*** *სხდომის შემდეგ მასთან ინტერვიუ ჩავწერეთ.*

- ბატონო ომარ, მიმდინარე გამოწვევებს რით პასუხობს მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტი?

- ჩვენი საქმიანობის ძირითადი პრინციპებია გამჭვირვალობა, მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა, მათი ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება, საჯაროობა, კეთილსინდისიერება, გუნდურობა, ეფექტური მართვა. შუახევის მუნიციპალიტეტის 2024 წლის წლიური ბიუჯეტი 25 234 612 ლარს შეადგენდა. 2023 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 2024 წლის ბიუჯეტი გაზრდილი იყო 2 347 612 ლარით, ხოლო 2025 წლის საწყისი ბიუჯეტი გასული წლის საწყის ბიუჯეტთან შედარებით, 9 240 000 ლარით გაიზარდა და შეადგენს 31 100 000 ლარს.

- მეტწილად რას მოხმარდება გაზრდილი ბიუჯეტი?

- მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვა, სხვადასხვა მოწყვლადი თუ რისკჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობა, არსებულ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მომსახურების ხარისხის ამაღლება მერიის საქმიანობის მთავარი პრიორიტეტული მიმართულებაა. შარშან ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კუთხით განხორციელდა 18 მიზნობრივი პროგრამა, მომსახურება გაეწია 3000-ზე მეტ ბენეფიციარს და დაიხარჯა 1 433 272 ლარი. მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება, რაც ახალი პროგრამების შექმნის შესაძლებლობას გვაძლევს. 2025 წელს შუახევის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსება განისაზღვრა 2 740 700 ლარით, განხორციელდება 25 მიზნობრივი პროგრამა, მათ შორის, 7 ახალი სოციალური პროგრამა. ესენი: პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამა, რომელშიც ჩართულია 15 ბენეფიციარი და ბიუჯეტი შეადგენს 151 000 ლარს; პაციენტის განსაკუთრებული სამედიცინო საჭიროებებით უზრუნველყოფის პროგრამა, რომელშიც ჩართულია 2 ბენეფიციარი და ბიუჯეტი შეადგენს 19 200 ლარს; უსინათლოთა საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია 6 ბენეფიციარისთვის და ბიუჯეტი შეადგენს 5 000 ლარს; შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 6 უსინათლო ბენეფიციარი, რომელთაც ესაჭიროებათ ხმოვანი გლუკომეტრი, წნევის აპარატი და თერმომეტრი; 18 წლამდე შშმ ბავშვთა კლიმატოთერაპიის საკურორტო-სარეაბილიტაციო პროგრამა, რომელიც გათვლილია 70 ბენეფიციარზე (ბიუჯეტი 84 000 ლარი); შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოჯახში ახალდაბადებული ბავშვის მატერიალური დახმარების პროგრამა (ბიუჯეტი 50 000 ლარი); ონკოლოგიურ და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული დაავადებების და ტრავმული დაზიანებების მქონე სოციალურად შეჭირვებულ პირთა ოჯახის ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა (70 000 ლარი); მრავალშვილიანი ოჯახების წევრი სტუდენტების ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა (12 000 ლარი). სტატისტიკის მოშველიებაც კარგი იქნება - 2020 წელს 9 პროგრამა გვქონდა, რომელთა ბიუჯეტი 274 163 ლარს შეადგენდა, წელს რაც იქნება, უკვე გითხარით.

- მერიის სარეზერვო ფონდი რას ხმარდება?

- შარშან 337 ოჯახს 287 821 ლარის ფინანსური დახმარება გავუწიეთ. მათ შორის, სტიქიით დაზარალებული ოჯახების ქირით გაყვანისათვის გაიხარჯა 184 350 ლარი (150 ოჯახი), სხვა დაზარალებულ 28 ოჯახზე (დამხმარე ნაგებობების დაზიანებისა და სხვა ზარალის გამო) გაიცა 19 563 ლარი, ხოლო ჯანდაცვის მიმართულებით 159 პირს გაეწია 95 574 ლარის დახმარება. ასევე, აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა სტიქიით დაზარალებული 264 ოჯახი - 807 043 ლარით.

- რომელ არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობთ?

- აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან. 2024 წელს შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსება შეადგენდა 26 200 ლარს. სოციალური აქციის ფარგლებში, წითელი ჯვრის დაფინანსებით არაერთ ოჯახს გადაეცა საკვები პროდუქტების პაკეტი. მუნიციპალიტეტის მოქალაქეებისთვის მოეწყო უფასო სამედიცინო აქცია და ჩატარდა პირველადი დახმარების სემინარები. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დაქვემდებარებაშია ორი ორგანიზაცია: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღის ცენტრი და სოციალური სერვისების ცენტრი, რომლებიც უფლებამოსილებას ახორციელებენ სამსახურის წესდების შესაბამისად.

- სოციალური პროგრამების შესახებ უკვე გვითხარით. რა კეთდება განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა მიმართულებით?

- მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს დაქვემდებარებული ორგანიზაციებია: კულტურის ცენტრი, ბაგა-ბაღების გაერთიანება, ხელოვნებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლა, შუახევის სპორტული ცენტრი და რაგბის განვითარების სკოლა. 2024 წელს, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ბიუჯეტი შეადგენდა 170 000 ლარს, რომლის ფარგლებში 100-მდე კულტურულ-სპორტული ღონისძიება, შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროექტი განხორციელდა. მათ შორის: დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, „მარეთობა“, „სელიმობა“, „კუნტიჯვრობა“, „ჯვარიმინდორის ფესტივალი“, „შუამთობა“, „შუახევობა“, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, მასწავლებლის ეროვნული დღე. აღსანიშნავია კულტურის ცენტრთან არსებული ვოკალური და ფოლკლორული ანსამბლების წარმატებით მონაწილეობა სხვადასხვა ფესტივალსა თუ ღონისძიებაში ქვეყნის მასშტაბით და ქვეყნის გარეთ. შუახევის ხელოვნებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებაში. შუახევის სალოტბარო სკოლის მოსწავლეები წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გამართულ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის პირველი სალოტბარო სკოლის დაარსებიდან 10 წლის გალა კონცერტში. ხელოვნებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლაში ისწავლება სხვადასხვა საგანი, ფუნქციონირებს წრეები. მუნიციპალიტეტში 15 ბაგა-ბაღი და 8 ალტერნატიული ჯგუფია, სადაც 421 აღსაზრდელი იღებს სკოლამდელ განათლებას. შუახევის მერიის, რესურსცენტრისა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიასთან“ თანამშრომლობით, განხორციელდა ორი პროექტი, ასევე, „აჭარისწყალი ჯორჯიას“ თანადაფინანსებით სოფელ მახალაკიძეებში მცხოვრებ 3 სტუდენტს დაუფინანდა სწავლის საფასური. მადლობა მათ ჩვენთან აქტიური თანამშრომლობისთვის. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შეიძინა ინვენტარი: ჭვანის, შუბნისა და დაბა შუახევის საჯარო სკოლებისთვის. 4 საჯარო სკოლა აღიჭურვა საგანმანათლებლო ტექნიკით (კომპიუტერებითა და ეკრანით). 3 სკოლის ბიბლიოთეკას გადაეცა მხატვრული ლიტერატურა. 5 სკოლას გადაეცა სპორტული ინვენტარი, 3 სკოლას - მუსიკალური ინსტრუმენტები. სამინისტრომ მოაწყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბიბლიოთეკო სივრცე დაბა შუახევისა და შუბნის საჯარო სკოლებში თანამედროვე ავეჯით, ტექნიკითა და წიგნადი ფონდით. წელს მოაწყობენ თანამედროვე სტანდარტების შესაბამის საბიბლიოთეკო სივრცეს სოფელ ბარათაულის ამირან მამალაძის სახელობის საჯარო სკოლაში. შარშან სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 50 000 ლარით, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა 32 ღონისძიება, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობის მიზნით, სპორტის სხვადასხვა სახეობაში წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელებისათვის გაიცა ფულადი ჯილდო 28 614 ლარის რაოდენობით. შუახევის სპორტულ ცენტრში მოქმედებს სპორტის 10-ზე მეტი სახეობის სექცია. სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, იმართება სპორტული შეკრებები და სპორტულ აქტივობებში გამარჯვებულები ჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით.

- ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა. რა კეთდება ამ საქმეში ახალგაზრდობის ჩართულობისთვის?

- საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის 2020-2030 წლების კონცეფციის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა მაქსიმალურად ცდილობს, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების პოტენციალის რეალიზებას. მუნიციპალიტეტში მოქმედებს მერის მრჩეველთა ახალგაზრდული საბჭო, რომელიც წელსაც აქტიურ რეჟიმში გააგრძელებს მუშაობას და მნიშვნელოვანი პლატფორმა იქნება თვითმმართველობასთან პირდაპირი კომუნიკაციისთვის. ტარიელ ფუტკარაძის სახელობის სტიპენდია დაენიშნა 6 სტუდენტს, რამაზ სურმანიძის სახელობის ფულადი ჯილდო გადაეცა 11 სტუდენტს. უკვე დაფინანსებულია 47 სტუდენტი. მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტად რჩება ტურიზმის განვითარება. აქტიურად ვთანამშრომლობთ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან, რომელიც არაერთ პროექტს ახორციელებს. მათთან თანამშრომლობით, ბოლო წლებში გაიხსნა ჯვარიმინდორის ტურისტული თავშესაფრები და საპიკნიკე ზონა. საპიკნიკე ინფრასტრუქტურა მოეწყო მთა ჩირუხში, ხარისაწოლის მიმდებარედ და მთა ღომაზე. დასკვნით ეტაპზეა მთა ჩირუხში ევროპაში ყველაზე გრძელი, ორზოლიანი ზიპლაინის მშენებლობა. პროექტის ფარგლებში 1789 მეტრი სიგრძის ზიპლაინი მოეწყობა. ზედა სადგური ზღვის დონიდან 2445 მეტრ სიმაღლეზე განთავსდა. ქვედა სადგურში ვიზიტიორთა ცენტრი იმუშავებს. დასასრულს უახლოვდება 9 აპრილის ხეივანში მიმდინარე სამუშაოები. გაგრძელდება ლელთის ტბის მიმდებარე ტერიტორიის, დარჩიძეების საპიკნიკე ადგილისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. ორივე პროექტი 2-წლიანია და წელს დასრულდება. გარდა სახელმწიფო პროექტებისა, სოფელ ჩანჩხალოში გრძელდება ტურისტული სივრცის მოწყობა. მრავალფუნქციური ტურისტული პროექტი ხელს შეუწყობს ბიზნესგარემოს განვითარებას, ტურისტების მოზიდვას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდას. მუნიციპალიტეტში 50-მდე საოჯახო ტიპის სასტუმროა, რომელიც ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას, ადგილობრივების დასაქმებასა და მთის ტურიზმის პოპულარიზაციას.

- ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზეც გვითხარით...

- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიმართულებით ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები. მუნიციპალიტეტი სხვადასხვა აქტივობით ყოველწლიურად უერთდება 16-დღიან გლობალურ კამპანიას ძალადობის წინააღმდეგ. აქტიურად ვთანამშრომლობთ სხვადასხვა ორგანიზაციასთან, კერძო და სახელმწიფო სექტორთან. წელსაც ადგილობრივი ბიუჯეტი დააფინანსებს „სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების“ პროგრამას.

- ქართული სოფელი და სოფლის მეურნეობის განვითარება მუდმივ მზრუნველობას საჭიროებს...

- სოფლის მეურნეობის მიმართულებით მუნიციპალიტეტში მოქმედებს: საჩითილე მეურნეობა - დაბა შუახევში, ვაზის სანერგე მეურნეობა - ახალდაბაში, ხეხილის სანერგე მეურნეობა - ქიძინიძეებში. სოფლის მეურნეობის პროგრამებით წელსაც 1000-მდე ფერმერი ისარგებლებს.

„შარშან 337 ოჯახს 287 821 ლარის ფინანსური დახმარება გავუწიეთ. მათ შორის, სტიქიით დაზარალებული ოჯახების ქირით გაყვანისათვის გაიხარჯა 184 350 ლარი (150 ოჯახი), სხვა დაზარალებულ 28 ოჯახზე (დამხმარე ნაგებობების დაზიანებისა და სხვა ზარალის გამო) გაიცა 19 563 ლარი, ხოლო ჯანდაცვის მიმართულებით 159 პირს გაეწია 95 574 ლარის დახმარება. ასევე, აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა სტიქიით დაზარალებული 264 ოჯახი - 807 043 ლარით

- ყველა იწონებს იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომლებიც დაბა შუახევსა და სოფლებში ხორციელდება.

- დაბა შუახევის ცენტრის განვითარების პროექტის ფარგლებში, ინფრასტრუქტურული სამუშაოები წელსაც გაგრძელდება. პარალელურად, სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა მიმდინარეობს. უკვე მოეწყო 30-ზე მეტი სოფლის ცენტრი, რისთვისაც დაიხარჯა 2 500 000 ლარზე მეტი. პროექტი მიზნად ისახავს სოფლის ცენტრებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის ყველა საჭირო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და ტურისტებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნას. 2024 წელს დასრულდა ზემოხევის, წყაროთის, ხიჭაურის, სამოლეთის ცენტრების კეთილმოწყობა. ამჯერად, სამუშაოები მიმდინარეობს ტაკიძეების, ჭვანის, ნენიის, გოგაძეების, ნიგაზეულის, ჯაბნიძეების, გომარდულის, ზამლეთის, ხიჭაურისა და ჭალის ცენტრებში. საერთო ჯამში, 600 000 ლარზე მეტი დაიხარჯება, საავტომობილო გზების რეაბილიტაციისთვის - 7 050 000 ლარი. დაგეგმილია 11 კილომეტრ საავტომობილო გზაზე ასფალტ-ბეტონის და 15 კილომეტრზე ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობა. საავტომობილო ხიდებისა და ხელოვნური ნაგებობების მოწყობისთვის დაიხარჯება 1 600 000 ლარი.

- სტიქია შუახევს ხშირად უქმნის პრობლემებს. რა პრევენციული ღონისძიებების გატარებას აპირებთ?

- 2024 წელს ფერდსამაგრი ნაგებობა მოეწყო 80-მდე ტერიტორიაზე, შესრულდა 1 917 793 ლარის სამუშაოები. ფერდსამაგრი კედლების მოწყობა გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, მეწყერსაშიშ ზონებში პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით, წელსაც ხორციელდება, რაც ხელს შეუწყობს რამდენიმე ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლებისა და გზების დამეწყვრის რისკების შემცირებას.

- სოფლებში, მეკომურთა კრებებზე მოსახლეობა ირჩევს იმ პრიორიტეტებს, რომლებიც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ შესრულდება. ამ პროგრამას როგორ შეაფასებთ?

- ამ პროგრამით წელსაც 628 000 ლარია მობილიზებული, რომელიც სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით, ძირითადად, სასოფლო გზების კეთილმოწყობას, გარე განათების ქსელის განვითარებას, სასმელი წყლის სისტემების, წისქვილების მოწყობას მოხმარდება.

რჩევები – იტალიაში სამუშაოს მაძიებლებს

აქ ყველაზე უკეთაა დაცული შრომითი უფლებები

ირმა ცეცხლაძე 577 20 45 63

დღეები დოღის ცხენებივით მისდევდნენ ერთმანეთს... თითქოს დედამიწამაც აიშვა და მთელი სისწრაფით ტრიალებდა საკუთარი ღერძის გარშემო. შეთქმულებივით, მზეც და მთვარეც არღვევდნენ განრიგს - დროზე ადრე, ერთმანეთის კვალდაკვალ ჩნდებოდნენ ცის კაბადონზე. კალენდრის გადაფურცვლას ძლივს ვასწრებდი, ყოველი თვე წინამორბედზე ადრე დგებოდა, თუმცა თითქმის მაშინვე ქრებოდა... და მაინც მთელ ამ ორომტრიალში დრო არ გადიოდა, ლოკოკინასავით მიიზლაზნებოდა და ცივ, გაწებილ, ამაზრზენ კვალს ტოვებდა სულში. სად ვარ? რატომ ვარ? რას ვაკეთებ?.. სხვა განზომილებაში სხვაგვარად მოქმედებ, უცნაურად იქცევი, გამძაფრებულად აღიქვამ ყოველდღიურობას და ისევ შენს ფესვებს, შენს ქართველობას ებღაუჭები... ერთი რამ ცხადია: ქართველი ვერასოდეს გადაგვარდები; ქართველი ვერასოდეს იგუებ სხვა სამშობლოს; ქართველი რჩები მუდამ ქართველად და არაფერი სხვა არ განიხილება, სანამ სული გიდგას...

მაპატიეთ ეს ხატოვანი შესავალი. იტალიაში, ემიგრაციაში ყოფნისას დავწერე, უფრო სწორად, დავიწყე და ვერ დავამთავრე, რადგან როგორც კი გადავიკითხე, მაშინვე გადავწყვიტე, რომ იქ არ იყო ჩემი ადგილი და... წამოვედი.

მინდა, ჩემი ორწლიანი გამოცდილება გაგიზიაროთ...

ერთია, როდესაც კითხულობ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს, რომ: „2024 წელს საქართველოდან ემიგრაცია წინა წელთან შედარებით 95,6%-ით გაიზარდა - ქვეყანა 245 064-მა კაცმა დატოვა“, ხოლო სულ სხვაა, როდესაც იტალიის მიყრუებულ სოფლებშიც კი გესმის ქართული და შენ ირგვლივ თვალდათვალ მატულობს ახალგაზრდა თანამემამულეთა რიცხვი. დიახ, ემიგრაცია მკვეთრად გაახალგაზრდავდა. თუ ადრე შუახნის ქალები ტოვებდნენ ქვეყანას, ახლა 19-20-25 წლის გოგო-ბიჭები ჩადიან უცხო ქვეყნებში ცხოვრების ასაწყობად. ყველაზე მეტად გული მტკიოდა, ბავშვები რომ ჩამოჰყავდათ სკოლებსა თუ ბავშვთა ბაღებში შესაყვანად, რათა თავიდანვე იტალიის სრულფასოვან მოქალაქეებად ექციათ.

ალბათ, იტყვით, სადაც დედაა, იქ იყოს ბავშვიც... მართალიც იქნებით, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში ხომ ვიცით, რომ ისინი ვეღარ იქნებიან ჩვენი ბედკრული საქართველოს შვილები, მათთვის ვერცერთი ქვეყანა ვერ გახდება სამშობლო...

მოვრჩეთ ლირიკას...

ახლა მინდა რეალურ თემებზე რეალური რჩევები მივცე მათ, ვინც არ ჩაუღრმავდება ჩემს შესავალს და მაინც დაპირებს საქართველოდან გასვლას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იტალია ერთადერთი ქვეყანაა ემიგრანტებისთვის, სადაც დაცულია შრომის კოდექსი და იქ თავშესაფრის მაძიებელი ისეთივე უფლებებითაა დელეგირებული, როგორც იტალიელი. ქართველების უმეტესობა ოჯახებში „ბადანტედ“ მუშაობს, რაც მოხუცის მოვლას გულისხმობს. უფრო ახალგაზრდები ეწყობიან მაღაზიებში გამყიდველებად, კაფებარებში - მზარეულებად თუ მიმტანებად, ოფისებში ან სასტუმროებში - დამლაგებლებად და სხვა. ერთი გოგონა გავიცანი, რომელიც საკრუიზო გემზე მოეწყო ბარმენად, რითაც ემიგრანტებში დიდი პატივისცემა დაიმსახურა. ცხადია, ასეთი „დაწინაურება“ შესაძლებელია პერმესოს (სამუშაოს უფლება) მიღების და ენის შესწავლის შემდეგ.

რა ქნან იტალიაში ჩასულმა მამაკაცებმა?

ქართველი მამაკაცები, ძირითადად, ქართველებს ემსახურებიან. ესაა ამანათების გაგზავნა, მანქანებით გადაადგილება (აეროპორტებში ხვდებიან და დანიშნულების ადგილამდე ჩაჰყავთ), დასაქმება. ზოგიერთი ზაფხულობით ფასიან პლაჟზე მუშაობს ან ქარხანა-ფაბრიკებშიც ნახულობს ადგილს. ძალიან იშვიათად ჩვენი მამაკაცები სულაც „ბადანტედ“ ან ოჯახის მძღოლად ეწყობიან. სხვათა შორის, დიდი მოთხოვნაა იმ ქალებზეც, ვინც მანქანის მართვა იცის. ქართული მართვის მოწმობით რამდენიმე თვე შეუძლიათ ისარგებლონ, შემდეგ კი იქაური მოწმობა აიღონ.

როგორ უნდა მიიღო სამუშაო უფლება და საბუთები?

როგორც კი მიხვალ იმ ქვესტურაში (მერია), რომელსაც მიეკუთვნება ოჯახი, სადაც დასაქმებული ხარ, ან სადაც იმყოფება შენი „ბინა“, აბარებ ქართულ პასპორტს, ავსებ განაცხადს, დროებით დოკუმენტს და ერთი-ორი-სამი თვის შემდეგ გაძლევენ „პერმესოს“ - მუშაობის უფლებას, რის საფუძველზეც ოჯახი ან ორგანიზაცია დაგიდებს კონტრაქტს. არ შეგეშინდეთ, უარს არავის ეუბნებიან, უბრალოდ, შეიძლება დაგიგვიანდეთ, თუმცა გარკვეული დროის მონაკვეთში აუცილებლად მიიღებთ სასურველ საბუთებს. თქვენ ირგვლივ მყოფი ქართველები დაგაკვალიანებენ, რა, როდის და როგორ უნდა გააკეთოთ. შემდეგ ოჯახი გიკეთებთ ჩაწერას „რეზიდენცას“ - ისევ იმ „ბინაში“ ეწერებით, სადაც დროებით ცხოვრობთ და იღებთ საყოველთაო დაზღვევას, რის საფუძველზეც ფორმდებით ოჯახის ექიმთან და გეძლევათ სხვადასხვა სახის უფასო ანალიზების გაკეთების უფლება ახლომახლო პოლიკლინიკებსა და საავადმყოფოებში. ასევე, გეძლევათ უფასო წამლებიც ქრონიკული დაავადების შემთხ-

ვევაში. შეძლებთ ბანკში ანგარიშის გახსნას და სამსახურის დაზღვევასაც კი.

გაითვალისწინეთ: კვირის განმავლობაში გაქვთ უამრავი დასვენების დრო, ყოველდღე - ორი-სამი საათი, კვირაში ორი დასვენების დღე: ერთი მთლიანი და მეორე - ნახევარი... ასევე, ისვენებთ ყველა „ფესტაზე“ (დღესასწაული), რომელიც წითლად აქვთ კალენდარზე აღნიშნული. თუ ოჯახი გთხოვთ დარჩენას, შეგიძლიათ დარჩეთ გარკვეული ტარიფით თანხის გადახდის შემთხვევაში. მოკლედ რომ ვთქვათ, იტალიაში ხუმრობენ, დავიღალეთ გარეთ სეირნობითო (ხუმრობის გარეშე, რომც მოგინდეთ, სახლში არავინ დაგტოვებთ დასვენების პერიოდში, თუკი შეთანხმებული არ ხართ და ამისთვის ფულს არ გიხდიან)... ასევე, არ შეშინდეთ, თუკი სამსახურიდან გამოგიშვეს ან მოხუცი გარდაგეცვალათ. იტალიის მთავრობა ზრუნავს თქვენზე და გენიშნებათ „დეზოკუპაციონე“ - უმუშევრობის ანაზღაურება. ბევრი ცდილობს იმ პერიოდში უკონტრაქტო სამსახური ნახოს და ორივე ანაზღაურებას ერთად იღებს (ამასაც ქართველები აგიხსნიან ადგილზე). იტალიის ნებისმიერ რეგიონში ბევრი ადვოკატი მოღვაწეობს ქართველ თანაშემწეებთან ერთად, რომლებიც არცთუ დიდი საზღაურის ფასად იცავენ თქვენს უფლებებს. აქვე არ დაგავიწყდეთ, რომ საქართველოში ვერ ჩამოხვალთ, სანამ არ ჩაგიტარდებათ ე. წ. კომისია, რომელსაც შესაძლოა, ორი წელიც კი დაგვიანდეს. სწორედ იქ გადაწყდება, გაძლევთ ქვეყანა თავშესაფარს თუ არა. უარის შემთხვევაში არ იდარდოთ: უკავშირდებით ადვოკატს, ასაჩივრებთ გადაწყვეტილებას და რამდენიმე წელი აგრძელებთ მუშაობას იგივე კონტრაქტით. ბოლოს და ბოლოს კი, მოსამართლე აუცილებლად მოგცემთ პოლიტიკურ თავშესაფარს, რომლის მიღების შემდეგ თავისუფლად შეძლებთ საქართველოში შვებულებით ჩამოსვლას.

აქვე საიდუმლოდ გეტყვით, რომ, აუცილებლობის შემთხვევაში, რომში, ჩვენს საელჩოში შეგიძლიათ აიღოთ ე. წ. თეთრი პასპორტი, რომლის საფუძველზეც ჩამოხვალთ საქართველოში, აქ გააკეთებთ ახალ პასპორტს და სამი თვის შემდეგ დაბრუნდებით იტალიაში. თუ უფრო ადრე დაგჭირდებათ დაბრუნება, იქირავებთ სამარშრუტო ტაქსს... რის შესახებაც „ახლობლები“ დაგაკვალიანებენ. პრინციპში, ამის გაკეთებას არ გირჩევთ, რადგან გამორიცხული არ არის, რომ თქვენი საიდუმლო მოგზაურობა გამჟღავნდეს და გაგირთულდეთ საბუთების მიღება.

რაც შეეხება ხელფასებს, იგივეა, რაც იტალიელებს აქვთ ანალოგიურ სამსახურებში. თქვენ, ასევე, იღებთ მეცამეტე ხელფასს, სალიკვიდაციოს და საშვებულებოს. ზოგიერთი ამ თანხას ყოველთვიურად იღებს განაწილების პრინციპით,ზოგი კი ერთიანი თანხის მიღებას ამჯობინებს წამოსვლისას. აქვე არ დაგავიწყდეთ, რომ შეგიძლიათ ისარგებლოთ ბიულეტენით ავადმყოფობის შემთხვევაში. ისიც იცოდეთ, რომ ყველა თვე უნდა დაგირიცხონ კვების ფული 200 ევრომდე, თუკი არ გაკმაყოფილებთ ოჯახის მიერ მოტანილი „სპეზა“ - პროდუქტები.

ნებისმიერი თქვენი უფლების დარღვევის შემთხვევაში, შეგიძლიათ მიმართოთ თქვენს დასაქმების ოფისს ან ადვოკატს, რომელიც მაშინვე გადაახდევინებს ოჯახს კუთვნილ თანხას, წინააღმდეგ შემთხვევაში, უჩივლებს სასამართლოში, სადაც ჯარიმის სახით, გაცილებით მეტი თანხის გადახდას დააკისრებენ. უმეტეს შემთხვევაში, ოჯახი არ მიდის სასამართლომდე და ურჩევნია, ზეპირი მოლაპარაკებით მოაგვაროს პრობლემა. სხვათა შორის, უსაბუთოდ დარჩენილებსაც აქვთ ეს პრეროგატივა. სასამართლო ერთნაირად განიხილავს მსგავს შემთხვევებს და ყოველთვის იჭერს დაზარალებული დასაქმებულის მხარეს.

იტალიის სამხრეთში არ წახვიდეთ

მინდა, განვიხილოთ იტალიაში მყოფი ჩვენი თანამემამულეების ერთი პრობლემაც: მათი დიდი ნაწილი ჩარჩენილია იტალიის სამხრეთში, სადაც, რატომღაც, არ ვრცელდება ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი შეღავათები, არ არის დაცული ემიგრანტების შრომითი უფლებები. იქ მხოლოდ ერთი დღე ისვენებ, გაცილებით ნაკლებია ხელფასი, ხოლო კონტრაქტით გათვალისწინებულ სხვა დამატებით თანხებზე ლაპარაკიც არ არის.

ხათუნა მერკვილაძე: - აქ, ნეაპოლში (სამხრეთი) ვარ უკვე მეოთხე წელია, იტალიური ვიცი, ძალიან ბევრს ვმუშაობ, მაგრამ ვერც საბუთები გავაკეთე და ხელფასიც მიზერული მაქვს. იტალიის ჩრდილოეთში გაცილებით უკეთესი პირობებია და ხელფასებიც მეტია, მაგრამ რატომღაც ვერ ვახერხებ აქედან წასვლას, ასე მგონია, დოკუმენტაციას ვერ გავაკეთებ, რაღაც პერიოდი უმუშევარი დავრჩები და... მე ყველა თვე უნდა ვაგზავნო სახლში ფული, თორემ ბავშვები ქუჩაში დამრჩებიან... რა ვქნა, სხვა გზა არ მაქვს... რაც არის, ეს არის, მაინც იმაზე მეტი მაქვს, ვიდრე საქართველოში მქონდა.

მარგარიტა პეტრიძე: - 10 წელია, სამხრეთში ვარ. თავიდან ენა არ ვიცოდი და იმიტომ ვარჩიე აქეთ წამოსვლა. ნაკლებია ხელფასები, მაგრამ ენის ცოდნას არ გთხოვენ, შემდეგ შევრჩი. აქ მყავს ყველა მეგობარი, უფრო სწორად, შეძენილი ოჯახის წევრები, ჩვენ ერთმანეთით ვსულდგმულობთ, ერთმანეთით ვხარობთ და ვწუხვართ. მათ ვერ დავტოვებ, მარტო წასვლა კი არ მინდა,

ლია ჯალაბაძე: - მეხუთე წელია, ჩამოვედი მერკოლიანოში. ნეაპოლთან ახლოს ვარ. საბუთების გაკეთება არც მიფიქრია, არც ის ოჯახი მეხმარება, სადაც დასაქმებული ვარ, არ „აწყობთ“. პრინციპში, ბედს არ ვუჩივი, მშვიდად ვარ. ბანკის ვალები გადავფარე, ახლა ბინის მშენებლობაში ჩავდე ფული და იმედი მაქვს, ოროთახიან ბინას შევიძენ თბილისის შემოგარენში... კმაყოფილი ვარ იმ მცირედითაც, რაც მაქვს... ჩრდილოეთში რომ გადახვიდე, იქაც პატრონი გინდა. სად წავიდე, რა ვქნა, აღარ ვიცი.

როგორ ეწყობიან სამხრეთში სამუშაოზე?

სხვათა შორის, სამხრეთში აქტიურად მუშაობს დამსაქმებლების მთელი კოჰორტა. ეს კარგად აქვთ აწყობილი. მათ ჯერ კიდევ საქართველოდან უკავშირდებიან. ისინი აეროპორტში ხვდებიან და ე.წ. ბინებში ასახლებენ. იქ დამსაქმებელი გაკვირდება, გაფასებს და შემდეგ გთავაზობს სამსახურს. არ დაგავიწყდეთ, დახვედრა, ბინაში შეყვანა, დასაქმება - ყველაფერი ფასიანია. ყველა ნაბიჯში იხდი ევროებს. ტარიფები უფრო და უფრო იზრდება და დიდ თანხებზე გადის. როდესაც აქედან ჩასული ემიგრანტი ვალებში ეხვევა და ვეღარ იხდის გადასახადს, იძულებული ხდება, ყველაზე მძიმე და ნაკლებანაზღაურებად სამსახურს დათანხმდეს. ხშირია უკმაყოფილება, მაგრამ ამ სისტემაში ერთხელ უკვე ფეხშედგმული უკან ვეღარ იხევს. მაშინვე შეახსენებენ, რომ მან არ იცის ენა, რომ აქ ბინა მაინც აქვს უფასოდ და რაღაც თანხას მაინც უხდიან... ხშირია შემთხვევა, როდესაც ე.წ. ბადანტეები ლამის შიმშლობენ, რადგან ოჯახში ძალიან მწირი ულუფებით უმასპინძლდებიან, იტალიის თითქმის ყველა ოჯახში მაკარონს გიწონიან, პური ძვირიანი სიამოვნებაა და ძალიან ცოტას ჭრიან სადილზე.

ბურანდა თოდაძე: - საშინელება იყო... სამხრეთში რაღაც სოფელში მოვხვდი. ისეთი ძუნწი ბებია შემხვდა, ლამის ყოველდღე ვტიროდი. ხან ბადრიჯანს მოხარშავდა თავისი ბოსტნიდან, ცოტა მაკარონში აურევდა და ისე მაჭმევდა, ხან - ბულგარულ წიწაკას. თავადაც ასე იკვებებოდა და რა უნდა მექნა?!.. ძლივს გამოვაღწიე იქიდან. შემდეგი ოჯახი კიდევ უფრო უარესი აღმოჩნდა, მაკარონსაც არ მიდებდნენ იმდენს, რომ დავნაყრებულიყავი... აბანოში შესვლას მითვლიდნენ, სარეცხ მანქანას არ მართვევინებდნენ... მთელი დღე ჯუჯღუნებდნენ, სამუშაოს მიმატებდნენ და ცდილობდნენ ჩემს დამცირებას... კიდევ კარგი, ჩემი ნათესავი მუშაობდა პიზაში, იტალიის ჩრდილოეთში და იქ წამიყვანა. მოვითქვი სული, ფულიც გაცილებით მეტი მაქვს, საბუთებიც მოვიწესრიგე და დასვენებებითაც ვსარგებლობ. არავის ვურჩევ იტალიის სამხრეთში წასვლას. იქ, მგონი, ჯერ კიდევ მონათმფლობელობაა შემორჩენილი.

ლილი თევზაძე: - მე სამხრეთში ვარ და მაქვს საბუთები, ახლა ცოტა უკეთესი მდგომარეობაა, დაიწყეს დოკუმენტაციის მოწესრიგება, მაგრამ ჩემ ირგვლივ გოგოების უმეტესობა უსაბუთოდაა და ძალიან იჩაგრება. იცით რა, აქაც საჭიროა ბრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად, მაგრამ ემიგრანტთა დიდი ნაწილი იმითაც კმაყოფილია, რასაც იღებს და არ აპროტესტებს, ბევრმა არც იცის, როგორ მოიქცეს. აუცილებელია, უფრო მეტი ქართველი იურისტი ჩაერთოს ამ პროცესში და დაეხმაროს ჩვენს თანამემამულეებს კონსულტაციებით.

მოსწავლეები წიგნის და სამშობლოს სიყვარულით აღზარდა

***ნაზი მაკარაძეს** დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. 6 ათეული წელია, მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება. იგი დაბა შუახევის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად მოვიდა და აქ გაატარა წლები. მასთან საუბარში ნათლად წარმოჩნდა მასწავლებლის როლი პიროვნების პროფესიულ არჩევანსა და, საერთოდ, ცხოვრებაში.*

- ქალბატონო ნაზი, მასწავლებლობა თქვენი არჩევანი იყო, თუ...

- აქ დიდია მასწავლებლის როლი, რომელსაც მოსწავლის არჩევანზე, მომავალი პროფესიის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ზემოქმედება შეუძლია. მაწყვალთასა და ოლადაურში კარგი მასწავლებლები მყავდა. მათემატიკა გამორჩეულად მიყვარდა. ამიტომ მიზნად დავისახე, გავმხდარიყავი მათემატიკის მასწავლებელი. 1963-1968 წლებში დავამთავრე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1968-1970 წლებში ვმუშაობდი ოლადაურის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლად, ხოლო 1970 - 2019 წლებში - სსიპ დაბა შუახევის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად. ამჟამადაც ამ სკოლაში ბიბლიოთეკარად ვმუშაობ. სკოლა ჩემთვის მეორე ოჯახია, სადაც თავს ძალიან მშვიდად და ბედნიერად ვგრძნობ. მყავს ორი შვილი - დალი და დოდო დავითაძეები, ორი შვილიშვილი - მარიკა და სალომე დუმბაძეები და ერთი შვილთაშვილი - ალისა ხალვაში.

- მამა ამირან მაკარაძე შუახევში ცნობილი პიროვნება იყო. რამდენად წაადგა მამის დამსახურება თქვენს მომავალს?

- ყველა თავისას აქებს, მაგრამ მამა, მართლაც, იდეალური პიროვნება იყო. ერთ შემთხვევასაც ვერ გავიხსენებ, მასზე ვინმეს აუგი დასცდენოდეს. ოჯახში, საზოგადოებაში, სანათესაოში სიტყვა ეთქმოდა, კარგი სახელი ჰქონდა.

- უფროსი დაც გყავდათ და თქვენზე უმცროსი ძმაც - დავითი, რომლებმაც პროფესიად, ასევე, პედაგოგობა აირჩიეს. ეს მიმბაძველობაა თუ...

- ესაა თითოეული ჩვენგანის დამოკიდებულება მასწავლებლებისადმი.

- იმ თაობის შუახეველი გოგონა ხართ, რომელიც სამშობლოს შავბნელ წარსულს ეროვნულობით დაუპირისპირდა. ამ გზაზე, ალბათ, ბევრი რამ გახსენდებათ...

- წინამორბედებად ერთეული გოგონები გვყავდა. მათი სახელები და საქმიანობა უკვე ისტორიის კუთვნილებაა. ერთად ვარღვევდით შავბნელ წარსულს და ვასამარებდით იმ სიბინძურეებს, რომლებიც ოსმალო ასიმილატორებმა დაგვიტოვეს.

- მასწავლებლების როლი როგორია ასეთ არჩევანში?

- ჩემი თაობა, მეტწილად, ქვეყნის სხვა რეგიონებიდან მოვლინებული მასწავლებლების მოსწავლეები ვიყავით. წლების გადასახედიდან ვგრძნობ მათ დამსახურებას და როლს თითოეული ჩვენგანის ცხოვრების გზის განსაზღვრაში. მათ დიდი და საშური საქმე გააკეთეს, რაც სრულყოფილად ვერ ფასდება.

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გამორჩეული პროფესორ-მასწავლებლები გყავდათ. მათთან ურთიერთობას თუ გაიხსენებთ?

- მიშა გადახაბაძე, გივი ხუხუნაიშვილი, ალექსანდრე ბერაძე, შოთა ქემხაძე, სილოვან დადუნაშვილი, გრიგოლ ბაბილოძე, ალექსანდრე გობრონიძე, ინსტიტუტის მაშინდელი რექტორი კარლო დოლიძე, რომელსაც პედაგოგიური ნათლობა შუახევში ჰქონდა მიღებული, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ აჭარის მთიანეთის მკვიდრ ახალგაზრდებს საფუძვლიანი უმაღლესი განათლება მიგვეღო და მშობლიურ რაიონს კვალიფიციურ სპეციალისტებად დავბრუნებოდით. ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო გამოცდაზე „საქმის ჩაწყობა“.

- პირველი მოსწავლე თუ გახსოვთ, რომელმაც თქვენი სპეციალობა აირჩია და წარმატებული მათემატიკოსი დადგა?

- რამინ ცინარიძე, თებრონე ვარშანიძე, ქეთევან დავითაძე.

- რომელი მოსწავლე იყო, მადლობის ბარათით დაბადებიდან 80 წლის იუბილე პირველმა რომ მოგილოცათ?

- თებრონე ვარშანიძე.

- უცხოეთიდან ვინ და რა ფორმით მოგილოცათ იუბილე?

- 20-მდე მოლოცვა მივიღე საზოგადოებრივი ქსელით, მათ შორის, აშშ-დან, პოლონეთიდან, გერმანიიდან. ახლო ნათესავებმა, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ, იუბილე სოციალური ქსელის მეშვეობით მომილოცეს.

- დაახლოებით რამდენი ქალიშვილი და ჭაბუკი აზიარეთ მათემატიკას?

- ჩემი მასწავლებლობის 50 წელი გავამრავლოთ მოსწავლეთა ყოველწლიურ რაოდენობაზე - 60-70-ზე და რა ციფრსაც მივიღებთ, ის იქნება.

- დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო საღამოზე ვისი ყოფნა დაგაკლდათ?

- ჩემი დის - თამარის, რომელმაც, სამწუხაროდ, ვერ მიაღწია 80 წელს, ჩემზე მშობელივით ზრუნავდა და დიდი ამაგი აქვს.

- წარმატებული მასწავლებელი, მოსიყვარულე დედა 80 წლის გადასახედიდან აღსაზრდელებსა და შთამომავლობას რას უსურვებთ?

- დიდად ბედნიერი ვარ, რომ მქონდა პატივი, პირადი წვლილი შემეტანა მომავალი თაობის აღზრდაში. დიდი სიყვარულით ვიხსენებ ჩემს აღზრდილებს, რომელნიც წიგნის და სამშობლოს სიყვარულით აღიზარდნენ, მიიღეს უმაღლესი განათლება და დგანან ქვეყნის სამსახურში. მათ ვუსურვებ, ეცხოვროთ გამთლიანებულ, დამოუკიდებელ, მშვიდობიან საქართველოში.

წიგნები – სკოლების ბიბლიოთეკებს

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი ბოლო წლებში ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, უნიკალურ წიგნებსაც გამოსცემს. სამეცნიერო სფეროში და აჭარის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველებში მოწონება უკვე დაიმსახურა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევების შემცველმა წიგნმა „აჭარამ“, რომელიც უშუალოდ ინსტიტუტის დირექტორ როინ მალაყმაძის ინიციატივითა და თანაავტორობით დაიბეჭდა

წლების განმავლობაში ინსტიტუტის ფონდში ინახებოდა წინა საუკუნის 50-60-იან წლებში აჭარის სოფლებში ჩაწერილი ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალები. სწორედ, ინსტიტუტის ახლანდელი ხელმძღვანელობის აქტიურობითა და კომპეტენტური ორგანოების თანადგომით ეს მასალები სამზეოზე გამოვიდა „აჭარული საუნჯის“ სახელწოდებით. უკვე 6 ტომია გამოსული და ბოლო ტომი შუახევის რაიონში ჩაწერილ მასალებს ეთმობა.

ინსტიტუტის დირექტორმა როინ მალაყმაძემ, მეცნიერმა თანამშრომლებმა ელზა ფუტკარაძემ, ნაილე მიქელაძემ წიგნები „აჭარა“ და „აჭარული საუნჯის“ მეექვსე ტომი შუახევის რაიონის 43 სკოლის ბიბლიოთეკებს საჩუქრად გადასცეს.

- ეს უნიკალური გამოცემები პედაგოგებსა და აჭარის ისტორიით დაინტერესებულ მოსწავლე ახალგაზრდობას კარგ დახმარებას გაუწევს. ინსტიტუტი საგამომცემლო საქმიანობას აგრძელებს. იმედია, მომავალშიც ანალოგიური აქციების განხორციელებას შევძლებთ, - გვითხრა როინ მალაყმაძემ.

გამოითქვა სურვილი, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ დასახელებული წიგნები, 10-10 ეგზემპლარი, შუახევში მოქმედ ბიბლიოთეკებსაც გამოუგზავნოს საჩუქრად.

- რამდენიმე წელია, შუახევის რესურსცენტრის ხელმძღვანელი ვარ, - გვითხრა ედუარდ გოგრაჭაძემ, - ინსტიტუტის მიერ გახორციელებული ეს აქცია პირველია და უკანასკნელი არ იქნება. წიგნები იმავე დღეს გაიტანეს სკოლების დირექტორებმა. მადლობას ვუხდით აქციის ორგანიზატორებსა და აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას, რომლის დაფინანსებითაც დასახელებული წიგნები გამოიცა.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

მთავარი გამოწვევა - სახელოვნებო სფეროს უწყვეტობის აღდგენა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*სახელმწიფოს მხრიდან ხელოვნების, კულტურის როლის ბოლომდე გააზრება დღეს, 21-ე საუკუნეში კვლავ რჩება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. ბოლო წლების განმავლობაში თითქოს გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები იმისათვის, რომ კულტურა გახდეს პრიორიტეტული, თუმცა არსებობს მთელი რიგი პრობლემებისა, რომელთა დაძლევაც სახელმწიფოს მხრიდან მყისიერი და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. ამჯერად, თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ სახელოვნებო განათლებაზე, რომლის მიმართ წლების განმავლობაში გატარებულმა არასწორმა მიდგომებმა, შეიძლება ითქვას, ბოლომდე გამოფიტა და დააზიანა სფერო. ყველა ერთხმად თანხმდება, რომ აუცილებელია უწყვეტი სახელოვნებო განათლების სისტემის აღდგენა, ხელმისაწვდომობა და საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც აღნიშნულ სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის უკეთეს სამუშაო პირობებს შექმნის. სახელოვნებო სფეროს გამოწვევებსა და განვითარების პერსპექტივაზე თავის შეხედულებებს დღეს რეჟისორი, აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის დირექტორი **ვახტანგ ბერიძე** გვიზიარებს.*



- ბატონო ვახტანგ, გვესაუბრეთ სახელოვნებო განათლებაზე და ამ კუთხით ქვეყანაში არსებულ გამოწვევებზე. როგორ ფიქრობთ, რა არის იმისათვის საჭირო, რომ ქვეყანაში უკეთ გაიაზრონ კულტურის მნიშვნელობა? სად ვართ დღეს?

- თავდაპირველად, უნდა დავინახოთ, რა მნიშვნელობა აქვს სკოლისგარეშე სახელოვნებო განათლებას ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებაში. ეს არის პირველი კარიბჭე ბავშვობის ასაკში ხელოვნების ლაბირინთებში შესასვლელად, აქ იწყება პირველი ზიარება ხელოვნებასთან. ჩვენს ქცევებზე, მეთოდიკასა და პროგრამაზეა დამოკიდებული, რამდენად გააგრძელებს იგი ამ საინტერესო სფეროში მოგზაურობას. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ ემოციებს, პირველ შთაბეჭდილებებს გადაწყვეტილების მიღებაზე. ანტიკურ საბერძნეთში განათლების სისტემა სამი დისციპლინის სწავლებაზე დაფუძნდა. ეს იყო მუსიკა, მათემატიკა და რიტორიკა. ადამიანის ფორმირებისთვის, მისი ფსიქოტიპის ჩამოყალიბებისთვის ერთ-ერთი საშენი მასალა ხელოვნებაა. ამდენად, სახელოვნებო განათლების ყველა საფეხურს მნიშვნელოვანი როლი აკისრია კულტურის სფეროს განვითარებაში. ჩვენთან რა სურათია ამ მიმართულებით? საბჭოთა მმართველობის დროს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დაარსდა სახელოვნებო სკოლები (სამუსიკო, სამხატვრო). მათ გააჩნდა პროგრამა, რომლითაც ასწავლიდნენ ბავშვებს, ასევე, აღიარებული იყო სწავლის დასრულების შემდგომი დოკუმენტი, განსაზღვრული იყო მასწავლებლის სტატუსი. 1990 წლის შემდგომ, როცა კომუნისტური რეჟიმი დაინგრა და გავხდით დამოუკიდებელი სახელმწიფო, საქართველოში სახელოვნებო განათლებაზე, მის ფორმირებაზე თითქმის არავის უზრუნია. დარჩა ის სასწავლო პროგრამები, რითაც მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში ასწავლიდნენ. სკოლების პარალელურად ფუნქციონირებდა კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლები. აქაც, სკოლების მსგავსად, აღიარებული იყო სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი და მასწავლებლის სტატუსი. 2005 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი განათლების შესახებ, სადაც ბუნდოვნად და ზედაპირულად განისაზღვრა სახელოვნებო სკოლების ბედი. 2009 წელს ჩატარდა რეორგანიზაცია, რის შემდეგაც რიგი სახელოვნებო სკოლები დაიხურა, ხოლო დანარჩენს შეეცვალა სამართლებრივი სტატუსი, რამაც გააუარესა მათი ბედი. კერძოდ, მასწავლებლის და სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის სტატუსი დღემდე გაურკვეველია. რაც შეეხება შინაარსობრივ ნაწილს, ის პროგრამები, რითიც ასწავლიდნენ წინა საუკუნეში, უცვლელად დარჩა, რაც, ჩემი სუბიექტური აზრით, არ პასუხობს გამოწვევებს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იბადება კითხვა, რა მოგვცა 2009 წლის რეორგანიზაციამ და რას ვაკეთებთ აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად? სახელმწიფო გვაფინანსებს, საკმაოდ დიდი მხარდაჭერა გვაქვს, მაგრამ კანონმდებლობით არ გვაღიარებს როგორც მასწავლებლებს, არ აღიარებს სწავლის დამადასტურებელ დოკუმენტს. მაშინ რატომ ვხარჯავთ რესურსებს? არის კრიტიკული, მტკივნეული და ყურადსაღები კითხვები, რომლებსაც ადეკვატური და დროული პასუხები სჭირდება.

- რა უნდა გაკეთდეს თქვენ მიერ აღნიშნული მთელი რიგი ხარვეზების აღმოსაფხვრელად?

- პირველ რიგში, უნდა მოგვარდეს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც განსაზღვრავს, რა როლი აქვს სკოლისგარეშე სახელოვნებო განათლებას, ანუ პირველ საფეხურს, ვინ არიან იქ მყოფი ადამიანები, რომლებიც ამ პროცესს წარუძღვებიან და შექმნიან, რა სტატუსი ექნებათ, მასწავლებლები იქნებიან, ინსტრუქტორები თუ ვინ? სტატუსის მიხედვით უნდა განისაზღვროს ანაზღაურება, რომელიც იქნება მათი მოტივაცია. უნდა დადგინდეს, ერთი საათის საფასური რამდენი იქნება, როგორც ეს განისაზღვრა საჯარო სკოლებში. უნდა გადაიხედოს სასწავლო პროგრამები. უბრალოდ, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში განსაზღვრული პროგრამებით, რომელიც მორგებული იყო იმ დროის საჭიროებაზე, იდეოლოგიაზე და მსოფლმხედველობაზე, ვასწავლიდეთ 21-ე საუკუნის ადამიანს. აღნიშნულის მოგვარება არც ისე რთულია, მიუხედავად იმისა, რომ საკითხისადმი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ჩვენს ქვეყანას აქვს რესურსი, სახელოვნებო განათლებაში შევქმნათ კარგი მოდელი, გვაქვს ამის ცოდნა, გამოცდილება და უნარები. ეს არის ერთი ციკლი, რომელიც უნდა გავიაროთ და ამაში მთავრობის მხარდაჭერა გვჭირდება. ეს პროცესი უსასრულოდ არ უნდა გაიწელოს. სხვა შემთხვევაში, დავკარგავთ თაობებს, მათ შესაძლებლობებს, რაც დააკლდება კულტურის სფეროს.

- აღნიშნულ გამოწვევებთან დაკავშირებით, წინა წლებში, ვიცით, რომ გქონდათ საუბრები საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის წევრებთან, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ხედავენ ამ ხარვეზს, მაგრამ ეს არის განათლების, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების ერთობლივი სამუშაო...

- დიახ, ბათუმში ორჯერ იყო ეს შეხვედრა, ერთხელ - უმაღლეს საბჭოში, მეორედ - მუსიკალურ ცენტრში. შეხვედრაზე პარლამენტის კულტურის კომიტეტის იმდროინდელმა თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძემ გაგვაცნო ხედვა, გვესაუბრა ჩატარებულ სამუშაოებსა და საკითხის კომპლექსურობაზე, მაგრამ პროცესი ჯერჯერობით არ დასრულებულა. კიდევ ერთხელ ვიტყვი, დიდი დრო გავიდა დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე. ეს შეიძლება ისტორიისთვის არც ისე ბევრია, მაგრამ 30 წელი ადამიანის ზრდისა და განვითარებისთვის, ჩვენი კულტურის პოლიტიკის კონტურების ჩამოყალიბებისთვის, სისტემატიზაციისთვის ნამდვილად დიდი დროა. ბევრი წელია ვისმენთ, რომ ვიწყებთ მუშაობას, მაგრამ მე მგონია, „ვიწყებთ“ მალე უნდა შეიცვალოს სიტყვით „დავასრულეთ“. ნებისმიერ ცვლილებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ის მუშა პროცესში უნდა გაიტესტოს, ამასაც დრო დასჭირდება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის.

- თითქოს არის მზაობა, გადაიდგა ნაბიჯებიც, მაგრამ, საბოლოო ჯამში, პრობლემა რჩება პრობლემად. როგორ ფიქრობთ, ვერ აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია სახელოვნებო განათლების განვითარება ჩვენს ქვეყანაში?

- ვაღიაროთ, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში, საქართველოში კულტურა პრიორიტეტი არ გამხდარა. დარგის პრიორიტეტულობაში იგულისხმება ფუნდამენტური დაკვირვებები იმ ცვლადის მიმართ, რომელიც არსებობს. ჩვენმა ქვეყანამ 100 წელიწადში იცხოვრა სამი მოწყობის სახელმწიფო მოდელში - 1918-1921 წლები, 1921-1990 და 1990-დან დღემდე. სამივე მოდელი განსხვავდება ერთმანეთისგან და მემკვიდრეობითი, სისტემური ბმა თითქმის არ აქვს. საბჭოთა წყობის 70-წლიანმა მემკვიდრეობამ მთლიანად დაგვავიწყა საწყისები. ვალდებულები ვართ, გვახსოვდეს, თუ რა მონდომებას და ეროვნულ მიდგომებს ავლენდნენ გასული საუკუნის 18-21 წლებში სახელმწიფო მესვეურები განათლების და კულტურის მიმართულებით. ათეულობით ადამიანი გაიგზავნა განათლების მისაღებად ევროპის წამყვან ქვეყნებში, რათა უკან დაბრუნებულებს შეძლებოდათ თავიანთი ცოდნის ქვეყნისათვის საკეთილდღეოდ გამოყენება. მიზანი ნამდვილად შეასრულეს და ასე დაიწყო კინოს, თეატრის, კლასიკური მუსიკის, მხატვრობის დარგების ორგანიზაციული ჩამოყალიბება და შემდგომ - განვითარება. სწორმა დამოკიდებულებამ შექმნა უამრავი ფასეულობა ქართული კულტურისთვის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვერ და არ უნდა არსებობდეს სოციალისტური მართვის მოდელი, ანუ საბჭოთა მოდელი. საბაზრო ეკონომიკა გულისხმობს კონკურენციას, ინდივიდუალიზმს. თუ დავაკვირდებით ჩვენს ქვეყანაში არსებულ მიდგომას, ვნახავთ, რომ ყველაფერი სახელწიფოს საკუთრებაშია, როგორც წინა საუკუნეში, არავინ დარდობს კონკურენციის შექმნაზე. ადამიანები სხედან ათწლეულებია და ერთსა და იმავეში „იხარშებიან“. ამიტომ ვამბობ, რომ კომპლექსური მიდგომებია საჭირო ყველგან. უნდა დავიწყოთ ხარისხიანი, დროის და სივრცის ადეკვატური განათლების რეფორმით სახელოვნებო განათლების ყველა საფეხურზე. ხელი შევუწყოთ მიმღებლობას, აღიარებას, ნიჭის და შრომის დაფასებას. უარი უნდა ვუთხრათ მემკვიდრეობით, დაუმსახურებლად პოზიციებზე ადამიანების დანიშვნას, რაც წაახალისებს სახელოვნებო განათლებით დაინტერესებას და ასე გახდება კულტურა პრიორიტეტული, საინტერესო და ჯანსაღი.

- აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაზე გვესაუბრეთ, მისი განვითარების ეტაპებსა და დღეს არსებულ სიტუაციაზე...

- აქ საქმე გვაქვს დიდ მემკვიდრეობასთან, გამოცდილებასთან და ცოდნასთან. ჩვენი სკოლა 1950-იანი წლებიდან იღებს სათავეს როგორც თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის ფილიალი, მალევე ხდება დამოუკიდებელი სასწავლებელი და ასე იწყება ისტორია. ბოლოს, 90-იან წლებში იუსუფ კობალაძის სახელობის კულტურის კოლეჯის სტატუსით ფუნქციონირებდა 2009 წლამდე. საქართველოს 50 მუნიციპალიტეტში მუშაობენ ჩვენი კურსდამთავრებულები მომღერლებად, მოცეკვავეებად, ბიბლიოთეკარებად. სასწავლებელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თაობათა ცვლის პროცესში და ახალი ადამიანური კაპიტალის შექმნაში. ბევრ ცნობილ და პატივსაცემ ხელოვანს აქვს ჩვენი სასწავლებული დამთავრებული. 2009 წელს რეორგანიზაციის შედეგად გააუქმეს კოლეჯი და 2010 წელს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დააფუძნა ა(ა)იპ „აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა“, რამაც საკმაოდ გააღარიბა ის მემკვიდრეობა, რომელიც სასწავლო პროგრამების მიმართულებით ჰქონდა სასწავლებელს, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მხოლოდ სამართლებრივი ცვლილება განხორციელდა, მასწავლებლის და სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის სტატუსი გაუგებარი გახდა, დატოვეს ისეთივე სასწავლო გეგმა, საგნების შემადგენლობა და პროგრამები, რომლებითაც ასწავლიდნენ წინა წლებში, რაც სრულიად გაუგებარს და გაუმართლებელს ხდის რეორგანიზაციის მიზნებს. 2019 წლის იანვარში, როცა დავინიშნე სკოლის დირექტორად და ჩავიხედე პროგრამებში, მივხვდი, რომ ეს იყო როგორც ფინანსური, ისე ადამიანური რესურსების ტყუილად ხარჯვა. ვითხოვე ცვლილებების დაწყება, რასაც პირველივე ჯერზე არ მოჰყვა დადებითი პასუხი. ჩვენ ცვლილებების მიმართ გვაქვს ტოქსიკური შიში. არადა, შეიძლება, იმ ცვლილებამ მწვერვალზე აგიყვანოს, მაგრამ ცვლილება რადგან ჰქვია, გვაშინებს და გვაბრკოლებს. მაშინაც ეს ვიგრძენი და გავჩერდი, მაგრამ ხასიათში მაქვს სიჯიუტე, პრინციპულობა, რომ მივაღწიო მიზანს. 2022 წელს პროგრამული რეორგანიზაცია, ფორმალური და შინაარსობრივი ცვლილებები მოვახდინეთ, შევქმენით კომისია, რომელიც მუშაობდა იდეაზე, როგორ ჩამოყალიბებულიყო სასწავლო გეგმა, რა რის შემდეგ დალაგებულიყო. ძალიან ბევრი საგანი შევცვალეთ, დავამატეთ ისეთი საგნები, რომლებიც მანამდე არ ისწავლებოდა. მაგალითად, ქორეოგრაფიის მიმართულებით მხოლოდ ქართული ცეკვა ისწავლებოდა, ჩვენ კი დავამატეთ კიდევ ხუთი დისციპლინა, რომელიც სხვადასხვა ცეკვას და ცეკვასთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარების გამომუშავებას შეუწყობს ხელს. მუსიკის მიმართულებით პროგრამაში არ იყო ხალხური მუსიკა, გალობა, ეს ყველაფერი ჩავსვით რეორგანიზაციის შემდგომ. ტრადიციული რეწვის მიმართულებითაც განვახორციელეთ საგნობრივი და შინაარსობრივი ცვლილებები და დღეს ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლო პროგრამები გვაქვს. სკოლის პროგრამების ცვლილებების შემდგომ, მალევე დავიწყეთ ფიქრი პროფესიული სახელოვნებო პროგრამების შემუშავებაზე და 2022 წელს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრისგან მივიღეთ უფლება, პირველად აჭარაში განგვეხორციელებინა ექვსი მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების სახელოვნებო პროგრამა. რა თქმა უნდა, აქ არ გავჩერდით და 2024 წელს კიდევ 4 პროგრამის განხორციელების უფლება მივიღეთ. დღეს სკოლა ახორციელებს სამ სასკოლო პროგრამას: „ქორეოგრაფიული საშემსრულებლო ხელოვნება“, „ხალხური მუსიკა“, „ტრადიციული რეწვა“, სადაც სწავლა შეუძლიათ საბაზო და საშუალო განათლების მქონე პირებს. სკოლის კურსდამთავრებულები მუშაობენ აჭარის აკადემიურ და მუნიციპალურ ანსამბლებში, სახელოვნებო ცენტრებში, კერძო სექტორში. ვახორციელებთ ათ პროფესიულ მომზადება/გადამზადების პროგრამას: „ქართული ეროვნული სამოსი და მისი სასცენო გადაწყვეტა“ (გადამზადება), „ფოტოგრაფია“ (მომზადება), „საქმისმწარმოებელი“ (გადამზადება), „კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი“ (მომზადება), „ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე მსახიობი“ (მომზადება), „ქართული ხალხური ცეკვების რეპეტიტორ-ქორეოგრაფი“ (გადამზადება), „ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი“ (გადამზადება), „ფოლკლორულ-ინსტრუმენტული ანსამბლის მსახიობ-აკომპანიატორი“ (მომზადება), „თექის ნაწარმისა და აქსესუარების დამზადება“ (მომზადება), „ბიბლიოთეკარი“ (მომზადება). 300-ზე მეტი ადამიანი მოვამზადეთ და გადავამზადეთ, რომელთა 80% დასაქმებულია ან დასაქმდა პროფესიული ნიშნით და მათი ჩართულობა სახელოვნებო და საგანმანათლებლო საქმიანობაში ხარისხს გაზრდის. პროფესიული განათლება სახელოვნებო მიმართულებით არცთუ ისე პოპულარულია. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით რაიმე დიდ ინტერესს ჯერჯერობით ვერ ვხედავთ, თუმცა განსაზღვრული გვაქვს და ვხედავთ ჩვენს სამომავლო გეგმებს, რომ ბათუმში ამ გამოცდილებით და ცოდნით შესაძლებელია კულტურის კოლეჯის დაფუძნება, რისკენაც მივდივართ.

> *„უნდა დავიწყოთ ხარისხიანი, დროის და სივრცის ადეკვატური განათლების რეფორმით სახელოვნებო განათლების ყველა საფეხურზე. ხელი შევუწყოთ მიმღებლობას, აღიარებას, ნიჭის და შრომის დაფასებას. უარი უნდა ვუთხრათ მემკვიდრეობით, დაუმსახურებლად პოზიციებზე ადამიანების დანიშვნას, რაც წაახალისებს სახელოვნებო განათლებით დაინტერესებას და ასე გახდება კულტურა პრიორიტეტული, საინტერესო და ჯანსაღი*

იხ. მე-9 გვ.

ახალგაზრდა, რომელიც უხუცესების მონათხრობ ისტორიებს აგროვებს

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი ქედაში მცხოვრები 26 წლის ***გიორგი ბროლაძეა,*** *რომელიც აჭარის სოფლებში დადის, ხანდაზმულ ადამიანებს ეძებს და მათგან საინტერესო ისტორიებს ისმენს, რომელთა ერთ წიგნად გამოცემას აპირებს.*

- როდის და რატომ დაინტერესდით უხუცესების მონათხრობების შეგროვებით?

- დაახლოებით 10 წლის წინათ ჩემს მშობლიურ სოფელში გარდაიცვალა 109 წლის ქალბატონი. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, გამერკვია, რამდენი 100 წელს გადაცილებული უხუცესი ცხოვრობდა ჩვენს რეგიონში. აქედან დავიწყე კვლევაძიებაც.

- რითია მნიშვნელოვანი ეს ისტორიები?

- პირველ რიგში, ეს ადამიანები დაიბადნენ გასული საუკუნის დასაწყისში. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოსა და მთელ მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი მოვლენები ხდებოდა: პირველი მსოფლიო ომი, რუსეთის რევოლუცია, 1918 წლის დამოუკიდებლობა, გასაბჭოება, რეპრესიები და ა.შ. ეს უხუცესები იყვნენ ამ მოვლენების უშუალო მოწმეები ანუ პირველწყაროები, არაერთმა საკუთარი თვალით იხილა ყოველივე ზემოხსენებული.

- როგორ პოულობთ მოსაუბრეებს?

- ყველამ, ვინც მიცნობს, იცის ჩემი ინტერესის შესახებ. სწორედ მათგან ვიგებ ინფორმაციას ამა თუ იმ სოფელში მცხოვრებ უხუცესებზე, შემდეგ კი ვუკავშირდები ოჯახის წევრებს და ვუთანხმებ შეხვედრის თარიღს.

- რა თემებზე აკეთებთ აქცენტს?

- ძირითადად, ოჯახურ ისტორიებზე და მათი თვალით დანახულ, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე.

- ყველაზე ემოციურად ვისთან შეხვედრა გახსენდებათ?

- განსაკუთრებით ემოციური იყო, 2021 წელს, მაჭახლის ხეობაში მცხოვრებ 105 წლის უხუცეს ქალბატონთან შეხვედრა, რომელსაც ზედმიწევნით ახსოვდა 1921 წლის გასაბჭოება, თურქეთის მხრიდან საზღვრების ჩაკეტვა და ორად გაყოფილი ქართული სოფლები, ცრემლმორეული იხსენებდა თურქეთის მხარეს დარჩენილ ნათესავებს, რომლებიც მას შემდეგ აღარ უნახავს.

- მოხუცები რამდენად გახსნილები არიან საუბრის პროცესში?

- ძირითადად, კომუნიკაბელურები არიან, მაგრამ თუ ჯანმრთელობა არ უწყობთ ხელს, მათ შესახებ ოჯახის წევრები მესაუბრებიან.

- მოხუცებისგან მოსმენილ განსაკუთრებულ ისტორიას ხომ არ გაიხსენებთ?

- მახსენდება 102 წლის, ეროვნებით სომეხ ქალბატონთან შეხვედრა, რომელიც 1924 წლიდან, ოჯახთან ერთად, ბათუმში ცხოვრობდა. მარიამ დეტალურად აღწერა 20-იანი წლების ბათუმი და ის სირთულეები, რომელთა გადალახვა მოუხდა მის ოჯახს. იგი 1916 წელს ართვინში დაიბადა, თუმცა იძულებული გახდა, მშობლიური კერა დაეტოვებინა და საქართველოში გადმოსახლებულიყო. ასევე, გავიხსენებ 100 წლის ქალბატონთან შეხვედრას ჩაქვში. იგი გვარად ნორაკიძე გახლდათ, აფხაზთა მთავრების, შარვაშიძეების პირდაპირი შთამომავალი. როგორც შემდგომ გადავამოწმე, შარვაშიძეებს მემკვიდრეობით მოსდგამთ დიდხანს სიცოცხლე. მათი საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენელმა 100 წლამდე და მეტხანს იცოცხლა.

- როგორ მოქმედებს თქვენზე მოხუცების მონაყოლის მოსმენა?

- ეს ისტორიები საკმაოდ ემოციურია. მოხუცები, ხშირად, წარსულს ცრემლების გარეშე ვერ იხსენებენ.

- როგორც ცნობილია, წიგნის გამოცემას გეგმავთ...

- დიახ, თუმცა ზუსტი თარიღის დასახელება გამჭირდება ჯერ საკმარისი მასალა არ მაქვს შეგროვებული. მსურს, დაახლოებით 100-მდე უხუცესი ჩავწერო, რათა უფრო საინტერესო იყოს ჩემი წიგნი.

- ეს იქნება მონათხრობი ამბების კრებული, ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური აღწერა თუ რაიმე სხვა?

- ეს იქნება ერთგვარი ბიოგრაფიული კრებული. გარდა

ამისა, უხუცესების, როგორც პირველწყაროების, ინტერვიუები ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის შესახებ. დღეისათვის მყავს 7 უხუცესი, ისინი 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მოესწრნენ. ცხადია, ეს არის ერთგვარი საგანძური - იმ ეპოქაში დაბადებული ადამიანები 2025 წელს ჩვენ გვერდით არიან.

- რა გავლენას მოახდენს თქვენი წიგნი მკითხველზე?

- მკითხველი გასული საუკუნის პირველი ნახევრის აჭარის ისტორიას გაეცნობა იმ ადამიანების მონათხრობებით, რომლებიც არიან უშუალო თვითმხილველი და მომსწრე ამ მოვლენებისა. ბევრი რამ, რაც მხოლოდ ისტორიის წიგნების საშუალებით ვიცით, ამ უხუცესებმა საკუთარი თვალით იხილეს.

„ერკეთელი“... თავისი ხელწერით – ქართული კულინარიის დიდ ოჯახში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

გაგაცნობთ შრომისმოყვარე, წარმატებულ ქალბატონს, რომელიც საკუთარ ბიზნესს მართავს. ***ქეთევან გიორგაძე*** *ბათუმში დაიბადა, დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ კი თბილისის პოლიტიკური აკადემია - პოლიტოლოგიის განხრით. ქეთევანი მცირე მეწარმე გახლავთ, მისი საფურშეტე მომსახურება „ერკეთელი“ ქართული ტრადიციული კერძებისა და სახლში დამზადებული დესერტების პოპულარიზაციისთვისაა განკუთვნილი, იგი, ასევე, ქართული კულინარიული მემკვიდრეობის ფართო მასშტაბით გაცნობასა და გაფართოებას უწყობს ხელს.*

- ქალბატონო ქეთევან, როგორ გაგიჩნდათ „ერკეთელის“ შექმნის იდეა და რას აღნიშნავს ეს სახელწოდება?

- სამზარეულოსთან ვმეგობრობ და სიახლეები მიყვარს. მინდოდა რაღაც განსხვავებული შემექმნა, ვფიქრობდი, ვეძებდი და ჯერ საოჯახო პირობებში დავიწყე სხვადასხვა ხილისგან ჩირის ცოტათი განსხვავებულად მომზადება. გამოვიდა. ბევრს მოეწონა, ვიღაცამ საჩუქრად მომთხოვა დამზადება. თანდათან მოთხოვნა გაიზარდა, მირეკავდნენ, შეკვეთებს აკეთებდნენ, მომხმარებელიც მომრავლდა და სახელის შერჩევის დროც დადგა. წარმოშობით გურიიდან, ჩოხატაურის სოფელ ერკეთიდან ვარ. მიუხედავად იმისა, რომ არანაირი წვდომა არ ჰქონია ჩემს ოჯახს სოფელთან, რადგან არ გვქონდა, ასაკთან ერთად ცხოვრებაში რაღაცების გადაფასება ხდება, ხვდები, რომ სოფელი აუცილებელია, ჩემს წამოწყებას სპონტანურად დავარქვი „ერკეთელი“. ალბათ, ეს სახელი ქვეცნობიერში იყო და უცებ ამოტივტივდა. არ მინდოდა, „ქეთოს ჩირი“ ან მსგავსი რამ რქმეოდა, რაც ჩემს სახელთან იქნებოდა დაკავშირებული. „ერკეთელი“ დიდი პატივისცემაა ჩემი წინაპრების სოფლის მიმართ, მათი მოფერება და საკუთარი თავისთვის თამასის დაწესებაა, რათა ამ სახელს მოვეფერო, გავუფრთხილდე და გავამართლო, ასევე, გავახარო ის ხალხი, რომელსაც ძალიან უყვარს ეს ულამაზესი სოფელი და ერკეთელები.

- რა იყო ამ საქმის წამოწყების მთავარი მოტივაცია?

- ხანდახან გივითარდება კეთილი, სპორტული ინტერესი - თუ შევძლებ და როგორ შევძლებ. საწყის ეტაპზე, მატერიალური დაინტერესება არ იყო მთავარი. მოსწონებოდათ ჩემი ნახელავი, აი, ეს იყო უმთავრესი. მოგეხსენებათ, ჩირის წარმოებაში კონკურენცია დიდია ჩვენს ქალაქში და შესაბამისად, სირთულეებიც ახლავს, თუმცა, რადგან გაჩნდა მოთხოვნა ჩემ მიერ მომზადებულ პროდუქტზე, რა თქმა უნდა, ეს უკვე დიდი სტიმული და გამოწვევა იყო. თანდათან საქმიანობაში ბევრი სიახლის შემოტანა გახდა საჭირო. შევქმენი „ერკეთელის“ ექსკლუზივი ჩირეულის სახით. თანდათან ჩირებისა და სხვადასხვა კერძის მომზადებამ სხვა რელსებზე გადამიყვანა. ახალი წლის დღეები იყო, როდესაც ჩემთან მეგობრები მოვიდნენ და ჩემებურად მომზადებული კერძები დავახვედრე. მინდა, მადლობა გადავუხადაო მათ, რადგან ახალი საქმიანობის - საფურშეტო მომსახურების დაწყება მაიძულეს (იცინის).

- რა ტიპის კერძებსა და დესერტებს სთავაზობთ მომხმარებელს?

- სხვადასხვა სახის შერეულ სამზარეულოს. ძირითადად, ქართულ-კუთხურ-გურულ კერძებს. როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, ასაკის მიუხედავად, ბათუმის რეალობაში მაინც არის ქართული ტრადიციული მომხმარებელი. თინეიჯერიც კი მეუბნება: არ მინდა სენდვიჩი! ქართველი ხომ გურმანია!

- როგორ ფიქრობთ, რით გამოირჩევა „ერკეთელი“ მსგავსი ბიზნესებისგან?

- „ერკეთელის“ სახასიათო განსხვავებულობა მდგომარეობს იმაში, რომ ეს არის კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ბრენდი, რომელიც ითვალისწინებს ძველის გაცოცხლებას და ავთენტურობის დაცვას, ასევე, ძველზე დაყრდნობით ახალი ინტერპრეტაციის შექმნას.

- რატომ არის თქვენთვის ესოდენ მნიშვნელოვანი ქართული კულინარიული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარება?

- იცით, არ მივეკუთვნები იმ კატეგორიას, რევოლუციის გზით რომ ამსხვრევენ ძველს და ახალს ემონებიან. ქართული, ძველი თუ ახალი კულინარია ფართო გასტრონომიული ოჯახია, რომელიც ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს, მას შეფასება და დაფასება სჭირდება. ალბათ, ჩემში ფუნდამენტურადაა ჩემი კუთხისა და ქვეყნის სიყვარული, რამაც ცოტა თამამი ნაბიჯები გადამადგმევინა. ჩემი მოკრძალებული სურვილია, კულინარიის ამ დიდ ოჯახში „ერკეთელს“ თავისი ხელწერა ჰქონდეს.

- გაქვთ განსაკუთრებული რეცეპტები ან ინგრედიენტები, რომლებიც „ერკეთელის“ პროდუქტებს უნიკალურს ხდის?

- „ერკეთელს“ აქვს თავისი მოკრძალებული ექსკლუზივი - ჩირეულის დესერტი (სხვადასხვა ხილის ჩირი ამოვლებული თაფლში, ნიგვზითა და თხილის გემოებით და სანელებლებით გაჯერებული), რომელიც მოთავსებულია ვაფლზე, ან ვაფლის ჭიქებში, კერძებიდან - ქათამი დარიჩინითა და ღვინით, პიკანტური გემოებით (ძველი გურული კერძი), ტაბლა (გურული ღომი) და სხვა.

- მომხმარებლების რა რეაქცია მოდის და როგორ მოქმედებს ეს თქვენს საქმიანობაზე?

- „ერკეთელი“ ერთი წლისაც არ არის, განვითარების საწყის ეტაპზეა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ბევრნაირი მომხმარებელი გვყავს, ცხადია, სხვადასხვა ხასიათით. მათგან რჩევაც მიმიღია, რომელიც გაგვითვალისწინებია და ეს ჯანსაღი პროცესია.

- როგორ ახდენთ თქვენი პროდუქტების პოპულარიზაციას?

- ძირითადად, სოციალური ქსელით - ფეისბუქგვერდი გვაქვს „ერკეთელის“ სახელწოდებით.

- გაქვთ თუ არა თანამშრომლობა სხვა ბიზნესებთან ან ორგანიზაციებთან?

- დიახ, საკმაოდ სერიოზულ კომპანიებთან გვაქვს საფურშეტო მომსახურების ხელშეკრულება დადებული.

- როგორ ფიქრობთ, რამდენად შეიძლება გაიზარდოს „ერკეთელი“ მომავალში?

- ჩვენი დიდი სურვილია, უფრო მრავალფეროვანი გავხადოთ ჩვენი შემოქმედება, რომელიც არა მხოლოდ ქართველებზე იქნება ორიენტირებული, არამედ ტურისტებზეც იქნება გათვლილი, უცხოელებსაც მოემსახურება. გვინდა, გავაცნოთ მათ ჩვენი ქვეყნის კულტურული და შინაარსობრივად დატვირთული ისტორია. „ერკეთელის“ არსებობისთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

- რა გამოწვევებს აწყდებით როგორც ქალი მეწარმე ქართულ ბიზნესსივრცეში?

- სირთულეები, შესაძლებლობები, უპირატესობები მამაკაცის შემთხვევაში გაცილებით მარტივად გვარდება, მაგრამ სადაც კულინარიაა, ქალს დიდი პრობლემები, ვფიქრობ, არ ექმნება.

- რა რჩევას მისცემთ ქალებს, რომლებიც საკუთარი ბიზნესის დაწყებაზე ფიქრობენ?

- იყო ქალი მეწარმე - ეს უკვე დიდი პასუხისმგებლობაა. შენი საქმე უნდა გიყვარდეს არა იმიტომ, რომ შემოსავლიანია და ფინანსური კეთილდღეობა მოაქვს, არამედ უნდა გესმოდეს ამ საქმის გულისცემა, დიდ სივრცეში უნდა გაიტანო, ბევრი თბილი და კეთილი შემფასებელი რომ ჰყავდეს. შემდეგ უფრო მარტივი ხდება საქმიანობა.

- როგორ ახერხებთ პირადი ცხოვრებისა და ბიზნესის დაბალანსებას?

- ყოველი წუთი გათვლილია, მაგრამ მერწმუნეთ, როდესაც დიდი სიყვარული და მონდომებაა, ყველაფერი გამოდის.

- რას ნიშნავს თქვენთვის წარმატება და როგორ აფასებთ უკვე განვლილ გზას?

- ამ მცირე დროში სხვადასხვა ორგანიზაციისგან საკმაოდ ბევრი მხარდაჭერა მქონია, რაც თავდაჯერებულობას მმატებს და მოდუნების საშუალებას არ მაძლევს, პირიქით - მაძლიერებს და მახარებს. განვლილი გზა არც ისე დიდია, თუმცა საკმაოდ საინტერესო და დატვირთული იყო.

- რა გეგმები გაქვთ?

- „ერკეთელის“ მრავალფეროვნებაზე მუშაობას კვლავ ვაპირებთ, ძირითადად, ტურისტებზე იქნება გათვლილი. გეგმებში შედის, ასევე, ქართული კულტურა - მევენახეობა (გადაჯიშებული ჯიშების გაცოცხლება).

მშობლებო, არ გამოკეტოთ ბავშვები სახლებში, ასე გაცილებით მეტ ზიანს მიაყენებთ თქვენს შვილებს

მე-3 გვერდიდან

- სკოლებში დირექციის, ადმინისტრაციის და მასწავლებლების მთავარი მიზანი ინკლუზიური და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების ხელშეწყობაა. სირთულეების მიუხედავად, ვცდილობთ, რომ ყველა მოსწავლე, თავისი შესაძლებლობების გათვალისწინებით, თანატოლებთან ერთად ჩართული იყოს საგაკვეთილო პროცესში, არავინ დავტოვოთ უყურადღებოდ. გაკვეთილზე, რა თქმა უნდა, ვაწყდებით სირთულეებს, რადგან ვიცით, რომ აუტიზმის მქონე ბავშვებს აქვთ კომუნიკაციისა და სოციალური ურთიერთობის სირთულეები. ვიცით, რომ აუტიზმი არის ნეიროგანვითარების დარღვევა. ეს ნიშნავს, რომ ტვინის ფუნქციები, გარკვეულწილად, დარღვეულია, რაც ბავშვის განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე ახდენს გავლენას. ამიტომ სკოლაში მასწავლებლები კარგად უნდა იცნობდნენ კონკრეტული მოსწავლის შეფასების ფორმას და ზედმიწევნით გაითვალისწინონ ის რეკომენდაციები, რომლებიც უწერია მულტიდისციპლინურ გუნდს. გასულ წლებთან შედარებით, სახელმწიფოსგან ხელშეწყობა გაზრდილია, შექმნილია ინტეგრირებული კლასები, რესურსოთახები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მასალით. ქალაქში გახსნილია დღის ცენტრები, სადაც აუტისტი ბავშვები მერიის დაფინანსებით იღებენ სხვადასხვა სერვისს. აუტიზმისთვის არ არსებობს დადასტურებული მედიკამენტური მკურნალობა, ამიტომ მნიშვნელოვანია დროული შეფასება და ჩართვა ინკლუზიურ განათლებაში. ყველაზე ეფექტური მეთოდი კი ABA თერაპიაა. აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეს ხშირად ინდივიდუალური ასისტენტი ჰყავს, რომელიც მუდმივად მის გვერდითაა და ეხმარება როგორც დავალებების შესრულებაში, ისე თანატოლებთან კომუნიკაციის დამყარებაში. ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვებს ვასწავლოთ განსხვავებული თანაკლასელის მიმღებლობა. აღსანიშნავია მშობლის როლი ამ მიმართულებით. გასულ წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაზრდილია მშობელთა ჩართულობა და მხარდაჭერა. ვიცით, რომ მშობლებმა ყველაზე კარგად იციან მათი შვილების შესაძლებლობები და ინტერესთა სფერო. ამიტომ, ამ გუნდის წევრები არიან მშობლებიც და ინდივიდუალური გეგმის შედგენის და განხორციელების დროს მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევენ. მერიის ახალგაზრდულ ცენტრში ხშირად ტარდება სხვადასხვა ღონისძიება, სადაც მშობლებთან ერთად მიმყავს შშმ პირები და ვრთავთ მათთვის სახალისო აქტივობებში. მშობლის დახმარების გარეშე წარმატების მიღწევა შეუძლებელია. მადლობა ჩემი მოსწავლეების მშობლებს ნდობისა და დახმარებისთვის. მჯერა, რომ ყველა ერთად, სწორი მიდგომითა და მშობლებთან თანამშრომლობით, მივაღწევთ მნიშვნელოვან წარმატებებს აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებთან მუშაობაში, - გვითხრა ლალი ჯაფარიძემ.

მთავარი გამოწვევა - სახელოვნებო სფეროს უწყვეტობის აღდგენა

მე-7 გვერდიდან

ასევე, სკოლაში არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2019 წლიდან დღემდე ჩავატარეთ 100-ზე მეტი ღონისძიება. აქ შედის მასტერკლასები სხვადასხვა გამოცდილების გაზიარებისთვის, შემოქმედებითი საუბრები, საჯარო ლექციები, ლიტერატურული საღამოები, გამოფენები, კონცერტები... მინდა მადლიერებით აღვნიშნო, რომ მთელ ამ ცვლილებებში იდეურად და ფინანსურად მხარს გვიჭერდა აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო. ყველასთვის ცნობილია, რომ აჭარაში 1-ლი მარტიდან ცალკე სამინისტროდ ჩამოყალიბდა კულტურის სამინისტრო, რომელიც უფრო მეტად ფოკუსირდება არსებული პრობლემების მოგვარებასა და ახალი ინიციატივების დანერგვაზე, რაც ოპტიმისტურ მოლოდინს აჩენს. ვიმედოვნებ, რომ სკოლის ყველა გამოწვევას ვაქცევთ საერთო წარმატებად.

- დასაქმება ახსენეთ და გკითხავთ, გაქვთ მოლაპარაკებები, მემორანდუმები გაფორმებული სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რომ თქვენი სკოლის კურსდამთავრებულები, ასევე, პროგრამის მონაწილეები დაასაქმოთ?

- სკოლას მემორანდუმები აქვს გაფორმებული სხვადასხვა ორგანიზაციასთან და აქ ნამდვილად მრავალფეროვანია სია, რომლის საფუძველზეც ჩვენ წარმატებული თანამშრომლობა ჩამოგვიყალიბდა პარტნიორ ორგანიზაციებთან, შედეგად გაუმჯობესდა დასაქმების სტატისტიკა როგორც სკოლის ნაწილში, ისე პროფესიული პროგრამების მიმართულებით. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ჩვენი მთავარი პრიორიტეტია ისეთი განათლების სისტემა გვქონდეს, რომელიც სწავლის მსურველებს მისცემს ხარისხიან და კონკურენტუნარიან განათლებას. ჩვენ კარგად ვიაზრებთ ჩვენს როლს და მისიას თაობათა ცვლის პროცესში. მინდა ყველა ადამიანი, ვინც ჩვენს სკოლაში სწავლობს, იყოს ბედნიერი იმით, რომ მოხვდნენ ისეთ გარემოში, სადაც ადამიანები მათთვის ბოლომდე იხარჯებიან, აქედანვე შეიგრძნონ ის შემოქმედებითი ატმოსფერო, რომელიც ხელოვნებისთვის არის საჭირო. ამას ხელს უწყობს ჩვენთან დასაქმებული მასწავლებლების კომპეტენცია, გამოცდილება, ცოდნა და შესაძლებლობები. ხშირად გვიჩნდება შიში, რომ ვინმე მოვა და ქართველობას, ჩვენს იდენტობას წაგვართმევს. არავინ და ვერავინ ვერაფერს წაგვართმევს, ჩვენ დავკარგავთ მაშინ, როცა არ ვისწავლით. თუ გვინდა, არავინ არაფერი „წაგვართვას“, მაშინ ვისწავლოთ, ვასწავლოთ ის, რაც არის ჩვენი, ნამდვილი, ეროვნული, ფასეული, უნიკალური. თუ რამის დაცვა გვინდა, თუ ეროვნული იდენტობის შენარჩუნება გვინდა, თუ გვინდა ვიყოთ კონსერვატიულ იდეაზე დაფუძნებული ლიბერალური საზოგადოება, რომელიც ინსტიტუტებსაც აღიარებს და პიროვნების თავისუფლებასაც, მაშინ უნდა გვქონდეს განათლების კარგი სისტემა. შემდეგ კარგი სამოქალაქო საზოგადოებაც გვეყოლება და უფრო მდგრადები გავხდებით იმ ცვლილებების მიმართ, რაც სამყაროში ხდება.

- რას ნიშნავს თქვენთვის, წარმოადგენდეთ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას და, ასევე, როგორ გესახებათ სახელოვნებო განათლების განვითარება უახლოეს მომავალში?

- ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, პატივია იმ სფეროში ყოფნა, სადაც მომავალი იქმნება. რაც შეეხება სახელოვნებო განათლების მომავალს, ძალიან ოპტიმისტურად ვუყურებ ამ ყველაფერს და მჯერა, პრობლემებს, რომლებზეც ვისაუბრე, ეროვნულად მოაზროვნე ადამიანთა ერთობა, რომელიც მალე გამოჩნდება, აუცილებლად მოაგვარებს. პრობლემა, როგორც აღვნიშნე, საკანონმდებლო ბაზაშია, როგორც კი ეს მოგვარდება, ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება, პროცესი სწორ მოქმედებას დაიწყებს.

- რა იქნება მინიმუმი და მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც გსურთ აღნიშნულ პოზიციაზე?

- მინიმუმი არის ის, რომ სკოლას აღვუდგინო ისტორიული სამართლიანობა, დავაფუძნოთ კოლეჯი. რაც შეეხება მაქსიმუმს, მსურს, იყოს ისეთი პროგრამები, რომლებიც ტრადიციებთან ერთად თანამედროვეობას შეითვისებს და ერთ სივრცეში ადამიანს ექნება კულტურის და ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესწავლის შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია კარგი ინფრასტრუქტურით, ფინანსური და ადამიანური რესურსით. ამ სამ რესურსზე დგას ორგანიზაციების განვითარება და სამივე რესურსის შესაძლებლობებს ამ წუთში ვხედავ, რესურსები კი არასდროს არის ულევი და იგი საჭირო დროს, საჭირო მიზნებისთვის უნდა გამოვიყენოთ.

აჭარის პირველობა - ქართულ ჭიდაობაში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქედის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში ჩატარდა აჭარის პირველობა ახალგაზრდებს შორის ქართულ ჭიდაობაში. 8 წონით კატეგორიაში ქობულეთის, ხულოს, შუახევის, ქედისა და ბათუმის 50-მდე სპორტსმენი ასპარეზობდა

დაძაბულ შეხვედრებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 45 კილოგრამ წონით კატეგორიაში: პირველი ჯემალ თავართქილაძე (ხულო) იყო, მეორე - ლუკა თავდგირიძე (შუახევი), მესამე - დიმა ნაკაიძე (შუახევი). 50 კილოგრამში შესაბამისად: საბა ებრალიძე (შუახევი), გელა მაკარაძე (შუახევი) ლუკა ბოლქვაძე (შუახევი). 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში: ნიკა ბიბინიძე (ქობულეთი), დათო ბასმანოვი (ბათუმი), ლუკა კახაძე (ხულო). 60 კილოგრამში: აჩიკო სუხიტაშვილი (ბათუმი), გიორგი ტაკიძე (შუახევი), ალეკო სუხიტაშვილი (ბათუმი). 66 კილოგრამში: ანრი აბაშიძე (ქობულეთი), ზაზა ბერიძე (შუახევი), ალეკო ზოიძე (შუახევი). 73 კილოგრამში: ზურა ბერიძე (ქობულეთი), რეზიკო ბასილაძე (ქედა), ირაკლი ხიმშიაშვილი (შუახევი). 81 კილოგრამში: ლუკა ფუტკარაძე (შუახევი), ბექა კვირიკაძე (ქედა), რაინდი ანანიძე (ხულო). აბსოლუტურ წონით კატეგორიაში პირველ ადგილზე ლუკა ბაკურიძე (შუახევი) გავიდა, მეორე რატი წულუკიძე (ქედა) იყო, მესამე - თემურ თურმანიძე (ბათუმი). საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციამ სიგელებით, შესაბამისი სინჯის მედლებით, თასებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

შეჯიბრება აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ორგანიზებითა და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

აღსანიშნავია შუბანში არსებული ქართული ჭიდაობის სექციის წარმომადგენელთა წარმატება, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი რიჩარდ ფუტკარაძე ხელმძღვანელობს.

ხსოვნა

მერი ზოიძე

გარდაიცვალა სოროპტიმისტ ინტერნაციონალ კლუბ „ბათუმის“ ღვაწლმოსილი, პატივსაცემი ქალბატონი, ჩვენი თანაქალაქელი მერი ზოიძე.

იგი მრავალი წლის განმავლობაში ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრი იყო. მან თავდადებით, მტკიცე ხასიათით, მაღალი პასუხისმგებლობითა და კეთილშობილებით წარუშლელი კვალი დატოვა როგორც ჩვენს კლუბში, ისე იმ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, სადაც მოღვაწეობდა. ერთგულად ემსახურებოდა საკუთარ საქმესა და საზოგადოებას. მისი სახელი სანდოობასთან, მიზანდასახულობასთან და სიკეთესთან ასოცირდება. ეს თვისებები ყოველთვის შთააგონებდა თითოეულ ჩვენგანს.

ქალბატონი მერი პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობითა და სითბოთი გამოირჩეოდა, რითაც იგი მუდამ აერთიანებდა კლუბის წევრებს და ჩვენს ყოველ შეხვედრას ახალ სიცოცხლეს მატებდა. მუდამ გვემახსოვრება მისი ნათელი სახე, თბილი ღიმილი და გულწრფელი სიყვარული საქმისადმი, რომელსაც მთელი გულით ემსახურებოდა.

კლუბის სახელით ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, ახლობლებსა და ყველა იმ ადამიანს, ვისაც მასთან ურთიერთობის ბედნიერება ჰქონდა.

მშვიდობით, ძვირფასო მერი, მემკვიდრეობა, რომელიც დატოვე, არასდროს წაიშლება, შენ კი ჩვენს გულებში ყოველთვის იცოცხლებ.

სოროპტიმისტ ინტერნაციონალი კლუბი „ბათუმი“

ურეხში იყიდება 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ციტრუსით. დაგვიკავშირდით მობილურზე: 574 01 25 62. იკითხეთ ასლანი.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 3/04/25, 17 ⁵⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ორკესტრთან ერთად დაუკრეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში კლასიკური მუსიკის საღამო გაიმართა სახელწოდებით „კონცერტების კონცერტი“. როგორც სკოლის დირექტორმა ნინო ჩაიძემ აღნიშნა, ასე იმიტომ უწოდეს, რომ საღამოზე სხვადასხვა კომპოზიტორის ნაწარმოებები (კონცერტები) ააჟღერეს როგორც საფორტეპიანო, ისე საორკესტრო შესრულებით. პროგრამაში იყო ვივალდის, მოცარტის, ვებერის, ლალოს ნაწარმოებები

ამ სახით საღამოს გამართვა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრის მთავარ დირიჟორ დავით მუქერიას ინიციატივა იყო და ყველაფერი მისივე ორგანიზებით გაკეთდა. სკოლამ შვიდი წარმატებული მოსწავლე შეარჩია - საფორტეპიანო, ჩასაბერი და სიმებიანი განყოფილებებიდან. კონცერტში მონაწილეობდნენ პედაგოგების - ირინა ხერჟის, რუსუდან კვახაძის, თემურ შალვაშვილის, ნანა კვირიკაძის, ზაურ ჯეგნარაძისა და ვერონიკა ასლანოვას მოსწავლეები: ალექსანდრე ანთიძე (კლარნეტი), ნიკოლოზ ვადაჭკორია (ფლეიტა), ანიტა არაბული (ვიოლინო), ლიზი ზოიძე (ვიოლინო), დანიელა ხუხუნაიშვილი (ფორტეპიანო), მარიამ გორგაძე (ფორტეპიანო), სესილი აბუთიძე (ფორტეპიანო). თითოეული მოსწავლე სხვადასხვა კონკურსსა თუ ფესტივალზე დიდი წარმატებებით გამოდიოდა, თუმცა ორკესტრთან გამოსვლის დიდი გამოცდილება არ ჰქონიათ. სიმფონიურ ორკესტრს მამუკა ალაფიშვილმა უდირიჟორა.

- აღვადგინეთ ძველი საგანმანათლებლო ტრადიცია - სიმფონიური ორკესტრის თანამშრომლობა სკოლის მოსწავლეებთან და „კონცერტების კონცერტის“ ყოველწლიური გამართვა. ორკესტრთან მხოლოდ წარმატებული ბავშვები დაუკრავენ. მათ ექნებათ მოტივაცია, რომ კარგად ისწავლონ, - აღნიშნა დავით მუქერიამ.

- ჩემი ორი მოსწავლე გამოვიდა. ერთი მეშვიდეკლასელი ლიზი ზოიძე იყო, ძალიან კარგი გოგონაა. წელს ავსტრიაში მეორე ადგილი დაიკავა და ლაურეატობა მოიპოვა, ბაქოშიც ასევე წარმატებით გამოვიდა და ორკესტრთან გამოსვლა დაიმსახურა. ჩემი მეორე მოსწავლე, მეათეკლასელი ანიტა არაბული უკვე „დაღვინებული“ მევიოლინეა, მან ავსტრიასა და აზერბაიჯანში გამართულ საერთაშორისო კონკურსებზე მეორე ადგილი დაიკავა, თბილისში - პირველი. ბავშვებისთვის ორკესტრთან ერთად გამოსვლა ნიშნავს, რომ ისინი არა მარტო კარგი ხელოვანები, არამედ საუკეთესო ადამიანები გაიზრდებიან, კლასიკური მუსიკა მათ ამაში დაეხმარება, - გვითხრა აჭარის დამსახურებულმა პედაგოგმა თემურ შალვაშვილმა, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტია, ამ სკოლაში ასწავლის. სხვათა შორის, სიმფონიურ ორკესტრში

ნახევარზე მეტი მისი აღზრდილი უკრავს.

თავისი მოსწავლე შეაქო პედაგოგმა ირინა ხერჟმა. დანიელა ხუხუნაიშვილი მასთან პირველი კლასიდან ემზადება, მან ორკესტრთან ერთად მესამედ დაუკრა.

- მუსიკალური სკოლებისა და სიმფონიური ორკესტრის თანამშრომლობა ძალზე მნიშვნელოვანი პროექტია. მოსწავლეებისთვის პროფესიონალ მუსიკოსებთან ერთად გამოსვლა კარიერული წინსვლისთვის ახალი მოტივაციაა, ამასთან, საორკესტრო დისციპლინის დაუფლების, სცენაზე დაკვრის გამოცდილების მიღებაა. ეს ასევე მნიშვნელოვანია სიმფონიური ორკესტრისთვისაც, რადგან ამ დროს ნიჭიერი მუსიკოსების აღმოჩენა ხდება, რომლითაც შეიძლება მომავალში ორკესტრი შეივსოს და გამდიდრდეს. ყველაფერი ეს, ზოგადად, ხელს უწყობს კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციასა და კულტურის განვითარებას, - აღნიშნა აჭარის კულტურის მინისტრის მოადგილე ირმა აბულაძემ.

- ორკესტრთან ერთად პირველად გამოვედი. ნებისმიერ მოსწავლეს, რომელიც ფიქრობს მომავალ პროფესიად მუსიკოსობის არჩევას, ეს განვითარებაში დაეხმარება, - თქვა ნიკოლოზ ვადაჭკორიამ.

- დღეს როგორც ბავშვები, ისე დიდები სულიერად დატვირთულები ვართ. დიდი სამუშაო ჩატარდა. ეს ორივე მხარისთვის უბედნიერესი დღეა, თუმცა განსაკუთრებულად გამორჩეულია ბავშვებისთვის და ჩემთვის, როგორც დირიჟორისთვის. ასეთი კონცერტი დიდი სტიმულია თითოეული მოსწავლისთვის და კარგია, რომ ყოველწლიურად გაიმართება, - აღნიშნა დირიჟორმა მამუკა ალაფიშვილმა.

ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში ივნისში ტრადიციული რეგიონალური, რიგით მერვე კონკურსი ჩატარდება, რომლის შემდეგ გაიმართება გამარჯვებულთა გალა კონცერტი.

„წერის პროცესი ჰგავს ტანჯვას, სიხარულს, ბედნიერებას, ტკივილს და ნეტარებას ერთდროულად“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

დღევანდელი ბლიცინტერვიუს სტუმარია ახალგაზრდა ბათუმელი მწერალი ***გურანდა ნიჟარაძე.*** *იგი ცნობილი, ღვაწლმოსილი ადამიანების ოჯახში დაიბადა - რეჟერებ და სელიმ ნიჟარაძეების შთამომავალია. უმაღლესი განათლება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო - აღმოსავლური ენების განხრით. ამჟამად, აჭარის მწერალთა სახლში ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქციაში მუშაობს. გამოცემული აქვს რომანი - „აუტსაიდერის სოციალური ქსელი“, რომელიც თბილისის გამომცემლობა „ინტელექტში“ დაიბეჭდა, ახლახან კი ქალ პროზაიკოსთა კრებულ „არმაღანში“ შევიდა მისი ამონარიდები. როგორც თავად გვითხრა, მალე მეორე წიგნს ასრულებს, თუმცა შინაარსს საიდუმლოდ ინახავს.*

- ბავშვობა არის...

- ის, რაც არსად მიდის და მეტიც, სულ წინ გვხვდება.

- ყველაზე მნიშვნელოვანია...

- არ გეშინოდეს შეცდომების დაშვება, რადგან შეცდომები გამოცდილებაა.

- ყველაფერი დაიწყო აღქმით...

- რომელიც არ დამითქვამს.

- ცხოვრება ჰგავს...

- საოცარ მოგზაურობას.

- ბევრჯერ მიფიქრია...

- ვფიქრობ და კიდევ ბევრს ვიფიქრებ.

- ვნანობ...

- არაფერს.

- დამსხვრეული სტერეოტიპები...

- თავისუფლებაა.

- სამყაროს აღქმის ჩემეული განცდა...

- ჯადოსნურია.

- ნივთი, რომელსაც სულ ვატარებ...

- ქრისტიანობის ნიშანი - ჯვარია.

- სიყვარული რომ არ ყოფილიყო...

- სიცოცხლეც არ იქნებოდა.

- ყველაზე დიდი იმედგაცრუება...

- როცა აღმოვაჩინე, რომ ბოროტი ადამიანები მართლა არსებობენ.

- მუსიკა - ჩემს პროზაში...

- ყოველ ფურცელზეა.

- წიგნი, რომელშიც საცხოვრებლად გადავიდოდი...

- ზუსტად ის წიგნია, რომელშიც ვცხოვრობ.

- არასდროს...

- არ განიკითხო.

- ერთ დღესაც გათენდება და...

- ბოლოს და ბოლოს დასრულებული მექნება მე-2 წიგნი.

- სევდას მგვრის...

- წვიმა, წვიმის დროს სევდა ლამაზია.

- ჩემზე ამბობენ...

- რას ამბობენ?

- რა ფერი აქვს სიკეთეს?

- სიკეთე ოქროსფერია.

- დავიწყება რომ შემეძლოს...

- დავივიწყებდი ომის არსებობას ჩვენს სამყაროში.

- ფობია...

- ვფიქრობ, არ მაქვს.

- მენატრება...

- ნაყინი (ჯერ ცივა).

- ბოლოს წავიკითხე...

- ჟურნალი „ჭოროხი“, რომელიც ამ დღეებში გამოიცა.

- ვიმოგზაურებდი...

- ტიბეტში - კაილასს ვნახავდი.

- წერის პროცესი ჰგავს...

- ტანჯვას, სიხარულს, ბედნიერებას, ტკივილსა და ნეტარებას ერთდროულად.

- მავსებს...

- სიჩუმე.

- ამოჩემებული ფრაზა...

- არ მაქვს.

- ცრემლებს ვერ ვიკავებ, როცა...

- ცრემლებს ბევრ რამეზე ვერ ვიკავებ.

- საკუთარ თავში შევცვლიდი...

- საკუთარ თავთან ვმეგობრობ. არაფერსაც არ შევცვლიდი.

- ლექსი ან მოთხრობა, რომელიც ყველაზე მეტად მგავს...

- „აუტსაიდერის სოციალური ქსელი“ - ვერსად გავექეცი, მგავს.

- შთაგონების წყარო...

- სიცოცხლე.

- საყვარელი მწერალი...

- ერთი არ მყავს, ბევრია.

- დღე, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა...

- როცა გავბედე, შეცდომების არ შემშინებოდა.

- მწამს...

- სიყვარულის და სიკეთის, სამყარო ცოცხალია.

- ადამიანი ადამიანისთვის...

- აუცილებლობაა.

- ყველაზე დიდი ჯილდო...

- სიცოცხლე.

- ყოველთვის ერთნაირად აღმაფრთოვანებს...

- ნიჭიერებით სავსე ადამიანები.

- თავისუფლება არის...

- მხოლოდ რჩეულებისთვის.

- გზავნილი - სამყაროს...

- დაგვინდე, მიუხედავად ყველაფრისა.

- ჩემზე არავინ იცის, რომ...

- არაფერი იცის.

- მჯერა...

- ჩემი ოჯახის, ჩემი შვილების, მეგობრების.

- მომავლის კადრი...

- იყოს ისეთი, როგორიც იქნება.

- ახლა ყველაზე მეტად მინდა...

- ჯანმრთელობა.

- მას ვეტყვი, რომ...

- ვის? ეგეთი ადამიანი არ მყავს. ვისაც მინდა, რასაც მინდა, იმას ვეუბნები.

- ექსპრომტად...

- მიყვარს ბათუმი.